გაზეთი გამოდის 1930 წლის 5 ნოემბრიდან

samtrediismacne @ mail.ru

# სამტრედიის მაცნე

N8 (9152) 20 მარტი. 2015 წელი ფასი 50 თეთრი

## 21 მარტი ქართული ჟურნალისტიკის დღეა

## ქართული ჟურნალისტიკა ისეთია, როგორიც არის

### იმერეთის გუბერნატორს ახალი მოადგილე ჰყავს



2

### 21 მარტი "ქართული ოცნებისთვის" ტესტი იქნება

4

3

### ქამრის მოჭერა სულის შეკავებამდე
### ვინ რა ნექტრითაა ნაკვები



### სოფლის პროგრამებზე მუშაობა ყრილობით იწყება
### არჩევნებისას რაღაც გაგეპარება

4

### 48 ვაკანსიაზე კონკურსი გამოცხადდა

2

### "პლეადა" _ ინტელექტდევების ღირსეული კონკურენტი

9



180 ინტელექტუალს შორის ზაზა აბეიშვილი საპატიო მესამე საპრიზო ადგილის მფლობელია

### საინტერესო შეხვედრები კულაშის საჯარო სკოლაში

8

7

### წავიდეთ თეატრში



## 27 მარტი თეატრის საერთაშორისო დღეა!

3

### „საჩუქრები მასწავლებლებისთვის" მუნიციპალიტეტის საკრებულოში

## იმერეთის გუბერნატორს ახალი მოადგილე ჰყავს

**იმერეთის რეგიონს ახალი ვიცე-გუბერნატორი ჰყავს. ეს თანამდებობა პაატა ნადირაძემ დაიკავა, რომელიც, გუბერნატორის მსგავსად, სამუშაოდ თბილისიდან ჩავიდა.**

**იმერეთის ვიცე-გუბერნატორის პოსტი ვაკანტური მას შემდეგ გახდა, რაც ალექსანდრე იოსებაშვილმა თანამდებობიდან წასვლის შესახებ განცხადება დაწერა.**



## 48 ვაკანსიაზე კონკურსი გამოცხადდა

11 მარტს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის კაბინეტში საკონკურსო-საატესტაციო კომისიის წევრები შეიკრიბნენ და მორიგი სხდომა გამართეს.



დღის წესრიგში 2 საკითხი იყო: პირველი, სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების საბოლოო ვარიანტის გაცნობა. მომხსენებელი გახლდათ ამავე კომისიის თავმჯდომარე ნუგზარ ჯამბურია.

მეორე საკითხი მოიცავდა გამგეობის საჯარო მოხელეთა 48 ვაკანსიაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ საჯარო სამსახურის ბიუროსათვის ინფორმაციის მიწოდებას.

კომისიის მიერ შეჯერებული იქნა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები. სამდივნომ წარმოადგინა საჯარო სამსახურის ბიუროს Hr.gov.ge-ზე ასატვირთი მასალა, რომელიც მოიცავს ინფორმაციას ვაკანსიის დასახელების, რაოდენობის, დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების სრულ ჩამონათვალს.

სამდივნოს დაევალა, საჯარო სამსახურის ბიუროს აცნობოს ვაკანსიის რაოდენობის შესახებ და Hr.gov.ge-ზე ელექტრონული ატვირთვა დაიწყოს.

ნუგზარ ჯამბურია, საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარე: ''კომისიის მორიგ სხდომაზე ჩვენი მხრიდან კიდევ ერთხელ მოხდა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების გადამოწმება ელექტრონულად გამოსაქვეყნებელ მოთხოვნებთან. ცალკეული სამსახურების სპეციფიკიდან გამომდინარე გახდა საჭირო, კონკურსში მონაწილე აპლიკანტები აკმაყოფილებდნენ გარკვეულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. რაც თავისთავად გამომდინარეობს ''საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონიდან'' და ''ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსიდან''. საკრებულომ სწორედ აქედან გამომდინარე მიიღო ცვლილება დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნებში''.

სამდივნომ რამდენიმე დღის განმავლობაში იმუშავა და ატვირთა საჯარო სამსახურის ვებ-გვერდზე 48 ვაკანსიასთან დაკავშირებული მოთხოვნები. კონკურსი უკვე ცნობილია და აპლიკანტებს 2015 წლის 18 მარტიდან აქვთ საშუალება, გააკეთონ განაცხადი მათთვის სასურველ ვაკანსიაზე. კონკურსში მონაწილეობის მსურველებს განაცხადის შევსებისათვის 10 დღიანი ვადა ეძლევათ.

*ნინო ნანიტაშვილი*

## ხერხემლად აღიარებული გზის აღდგენა და ყველა მთავრობას მორგებული ლოზუნგი

გზა, რომელიც ლანჩხუთი-გრიგოლეთის მაგისტრალს ჩოხატაური-ოზურგეთის მაგისტრალთან, იმავდროულად, ნოღა-ტოლები-ვაზისუბანს ერთმანეთთან აკავშირებს და მდინარე ''ხევისწყალას'' ნაპირს მიუყვება, დაზიანებულია. იგი სტიქიამ, ანუ ხევისწყალას ადიდებამ დააზიანა. ნოღაში მუნიციპალიტეტის გამგებლის, საკრებულოს თავმჯდომარის, მისი მოადგილისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის ასვლა, მასზე მიმდინარე აღდგენითმა სამუშაოებმა გახადა საჭირო. ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის, ზურაბ გოგიასგან შევიტყვეთ, რომ ინფრასტრუქტურის სამინისტროს შუამდგომლობით სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებებისთვის სახელმწიფომ საჭირო რესურსები გამოუყო მუნიციპალიტეტს. პროექტის დასაფინანსებლად განსაზღვრული თანხით პირველ ეტაპზე ნაპირსამაგრი სამუშაოების შესრულება, დამბის გაკეთება და გზის სავალი ნაწილის აღდგენა დაიწყო კიდეც. გამოიცვლება სამი წყალგამტარი მილიც. ამ ყველაფრისთვის ხარჯთაღრიცხვით 98 ათასი ლარი დაიხარჯება. მოთხოვნა 288 ათას ლარზე გახლდათ გაკეთებული, პირველი ეტაპის სამუშაოებისთვის 115 ათასი უკვე გამოყოფილია. მათი დასრულების შემდეგ მუნიციპალიტეტი დანარჩენ თანხასაც მიიღებს. .

გამგეობისა და საკრებულოს წარმომადგენლებმა სამუშაოების მიმდინარეობის პროცესი ადგილზე დაათვალიერეს. ადგილობრივები, იქვე რომ დახვდნენ მათ, ამბობდნენ, რომ აუცილებელი იყო გზის აღდგენა და ხელისუფლებას ემადლიერებოდნენ პროცესის სწრაფად მობილიზებისთვის. ერთმა მათგანმა განაცხადა: ''ვინც არ უნდა ყოფილიყო, ან მოსულიყო ხელისუფლებაში, ეს გზა აუცილებლად უნდა აღედგინა, ამიტომ პირადად მე მგონია, რომ მისი აღდგენა ამ ხელისუფლებას კეთილ ნებას კი არ უნდა მივაწეროთ, ეს მისი მოვალეობა იყო.''

როგორც მუნიციპალიტეტის გამგებელი ამბობდა: ''გასულ წელს სტიქიით დაზარალებულ არაერთ ობიექტს შორის ეს გზა ყველაზე მნიშვნელოვანი და სწრაფად აღსადგენია. იგი ტოლები-ნოღა-ვაზისუბანს ერთმანეთთან აკავშირებს და შეიძლება ითქვას, რომ ამ სოფლების ხერხემალია. თანხა მაშინვე გამოიყო, როგორც კი მოვითხოვეთ. სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული ქუთაისური ორგანიზაცია ასრულებს.''

უხარისხოდ შესრულებულ პროექტს რომ არ ჩაიბარებენ, ეს აქსიომად იქცა. ამ შემთხვევაშიც ხარისხი უპირველესია და მას არა მარტო ადგილობრივები, მონიტორინგის ჯგუფიც ამოწმებს. საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ ჯამბურია და მისი მოადგილე კობა ძიძიგური სხვებთან ერთად სწორედ სამუშაოების ხარისხიანად შესრულებაზე ამახვილებდნენ ყურადღებას და აღნიშნავდნენ, რომ მალე ბევრი ახალი და საჭირბოროტო პროექტის განხორციელება დაიწყება მუნიციპალიტეტში. ''მთავარი კეთების სურვილია, თორემ საქმე ყოველთვის გამოჩნდება.''_ თვლის კობა ძიძიგური.

ნოღის თემში გამგებლის წარმომადგენელი, ალექსანდრე ბოცვაძე კომენტარზე ძნელად დავითანხმეთ: ''პიარი არ მჭირდება, საქმის კეთება მიყვარს ლაპარაკის ნაცვლად.''_ ძველი, წესით უკვე დასავიწყებელი ლოზუნგის მოშველიება დასჭირდა მას, რამაც ჟურნალისტებს საკრებულოს სხდომა მოგვაგონა, ამ ლოზუნგზე ყველა მთავრობას ერგებაო, ღიმილით რომ აღინიშნა.

*ოთა ბაბუნაშვილი*





## მოკლედ და წყნარად

მხოლოდ სამჯერ მოუწიათ ხელის აწევა დეპუტატებს და ისიც მხოლოდ დასტურად. საკრებულოს ბოლო სხდომა ყველანაირ ვნებათაღელვას მოკლებული, დროში გაუწელავად დასრულდა, მოკლედ და წყნარად.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ''კავშირი საფეხბურთო კლუბ სამტრედიას'' ფეხბურთის განვითარების პროგრამაში ცვლილებაა. ამ საკითხზე საუბარი მოკლე ლირიული შესავლით დაიწყო საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე შალვა არზუმანიანმა _''თანამედროვე მსოფლიოში ფეხბურთი და ფეხბურთის ინდუსტრია გლობალური მოვლენაა...'' და ასე შემდეგ. საუბარი მის სოციალურ_ეკონომიკურ და ინტეგრაციულ პროცესებში შეტანილ წვლილსაც შეეხო. და ეს იმიტომ, რომ გუნდს ლიცენზირების დოკუმენტაციის შედგენა და მის მოსაპოვებლად საჭირო თანხა სჭირდება. მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვეტილება მიიღო კლუბის 900 ათასი ლარით დაფინანსებისა. უმცირესობის ლიდერი დაინტერესდა, რატომ 900 ათასი და არა 1 მილიონ 200 ათასი, რადგან მოსაპოვებელი ლიცენზიისთვის თანხის ეს რაოდენობაა საჭირო. ''გასულ წელს კლუბთან დაკავშირებული პრობლემები დოკუმენტაციის არასწორად შედგენამ გამოიწვია. ახლაც მსგავს გაუგებრობაში არ აღმოვჩნდეთ.''_ გააფრთხილა კოლეგები ემზარ შუბლაძემ. როგორც ''საფეხბურთო კლუბ სამტრედიას'' ბუღალტერმა, ნუნუ ნინუამ განმარტა, ''კლუბს ლიცენზიის მოსაპოვებლად 1 მილიონ 200 ათასი სჭირდება, მაგრამ ამჯერად გამოყოფილი თანხა განსაზღვრულია 2016 წლის პირველ და მეორე კვარტლამდე. მიმდინარე წელს 400 ათასი ლარი დაგვემატება, მომავალი 2016 წლის პირველ ნახევარში კი_ 500 ათასი. დანარჩენი შემდეგ დაგვემატება იმ წელსვე. ეს საკითხი ფეხბურთის ფედერაციასთან შეთანხმებულია და როგორც ვიცი, გართულება არ უნდა მოჰყვეს.''

მუხლობრივი ცვლილებები დამტკიცდა შპს ''სპორტული კომპლექსი-სამტრედიას'' მომსახურების ტარიფების და 2015 წლის ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი სუბსიდიის, სამუშაო დღეებისა და დროის განსაზღვრის შესახებ'' განკარგულებაში. კვლავ ემზარ შუბლაძე დაინტერესდა, თუ როდის გაიხსნებოდა და დასრულდებოდა სეზონი საცურაო აუზზე.

როგორც გაირკვა, საქართველოს მასშტაბით ხელბურთის ყველა კლუბს 50 ათასი ლარი გამოეყო სფეროს განვითარებისთვის. თანხა მწვრთნელებსა და ახალი ჯგუფების გახსნის საკითხებზე გადანაწილდა. ამიერიდან დიდ ჯიხაიშსა და კორმაღალში ვარჯიშს ახალი ჯგუფები დაიწყებენ.

სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ და იმავდროულად დიდი ჯიხაიშის მაჟორიტარმა, გოგი ლეჟავამ ისურვა, რომ ''კარგი იქნება, ამას მასიური ხასიათი ჰქონდეს და ერთჯერადი არ იყოს. ის, რომ კვალიფიციური მწვრთნელის მეთვალყურეობის ქვეშ ივარჯიშებენ ბავშვები, რა თქმა უნდა, მისასალმებელია.''

განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის ხელმძღვანელმა, ბადრი შენგელიამ, ხაზი გაუსვა, რომ სპორტის სხვადასხვა სახეობის მხარდასაჭერად რაიონში ბევრი რამ კეთდება და წარმატებებიც სახეზეა.

*ოთა ბაბუნაშვილი*

# ქამრის მოჭერა სულის შეკავებამდე

## ვინ რა ნექტრითაა ნაკბენი

თეა ბაბუნაშვილი

''იყო შენიშვნები და ღია საუბარი. თუ ცენტრალური მედიისთვის დახურული იყო, დახურული უნდა იყოს ადგილობრივისთვისაც, მაგრამ''... მიუხედავად იმისა, რომ შეხვედრა დახურული იყო, მუნიციპალიტეტის გამგებელმა ''შინაურულად'' მაინც ისაუბრა მასზე ადგილობრივ ჟურნალისტებთან. იგულისხმება შეხვედრა, ამ ცოტა ხნის წინ რომ გაიმართა ქვეყნის პრემიერ-მინისტრთან გუბერნატორებისა და მუნიციპალიტეტების გამგებლებთან ხარვეზებსა თუ მიღწევებზე სასაუბროდ.

თუმცა მიღწევებზე ნაკლებად, რადგან ბოლო დროს ქვეყანაში განვითარებული მოვლენების მიხედვით, მიღწევებზე საუბარი იხტიბარის არგატეხვას უფრო ჰგავს, ვიდრე თავის დაიმედებას. არც დაუფარავს ქვეყნის ხელისუფლებას, რომ მოტივი ამგვარი იყო. სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებელი ვალერი ფოცხვერიაც, რა თქმა უნდა, მიწვეულ გამგებლებს შორის იყო ახლად დანიშნულ იმერეთის გუბერნატორთან ერთად.

გაგვიმხილა, რომ ძირითადად ინფრასტრუქტურული სამუშაოების ირგვლივ მიდიოდა საუბარი და განსაკუთრებული აქცენტები ვერშესრულებულ, უფრო მკაცრად და თანამედროვედ რომ ვთქვათ, ჩავარდნილ პროექტებზე მიდიოდა. ''არც საყვედური შეგვხვედრია და არც ქება-დიდება, ლიდერთა პოზიციაშიც არ ვყოფილვართ.''_ ამბობს ვალერი ფოცხვერია. და იქვე: ''თუმცა არც დამსახურება და არც დაუმსახურებლობა ჩვენი ''დამსახურება'' არ იქნებოდა, რადგან თვითმმართველობაში რომ მოვედით, ბიუჯეტიც უკვე დაგეგმილი იყო და ინფრასტრუქტურული პროექტების ნუსხაც. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსი რომ გამხდარიყო სამტრედია, საკუთარ თავს არ მივაწერდი წარმატებას, თუმცა, საყვედურის შემთხვევაშიც არ გავიშვერდი ვინმესკენ ხელს.'' უსაუბრიათ სამომავლოდ განსახორციელებელ პროექტებზე და რეკომენდაციები მიუღიათ გამგებლებს, როგორ გაეხადათ ისინი წარმატებული.



მიუხედავად იმისა, რომ პრემიერთან შეხვედრაზე სამტრედია ნეგატიური შენიშვნების ნუსხაში არ მოხვედრილა, ვალერი ფოცხვერია ერთ ჩავარდნილ პროექტზე მაინც საუბრობს და ეს ტოლები-ბუღნარას დამაკავშირებელი ხიდია, აქილევსის ქუსლად რომ იქცა და არაერთხელ გამოცხადებულ-ჩაშლილი ტენდერით ნიშნის მოგების თემა გახდა პოზიცია-ოპოზიციას შორის. როგორც მუნიციპალიტეტის გამგებელმა აღნიშნა, საკითხზე მუშაობა, ფაქტობრივად, თავიდან იწყება მისი წარმატებით დასრულებისთვის.

გასული წლის ინფრასტრუქტურულ პროექტებში, როგორც გამგებელმა აღნიშნა, ძირითადად გზების რეაბილიტაციისა და გარე განათების მოწესრიგების საკითხებზე იყო აქცენტი გაკეთებული სამტრედიაში. ვალერი ფოცხვერია ხაზს უსვამს, რომ პროექტები მათმა წინამორბედებმა რატომღაც ორ ნაწილად გაჰყვეს_''მიკვირს რატომ იყო ასე, რადგან არც ერთ სხვა მუნიციპალიტეტში ამის პრეცედენტი არ ყოფილა. პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამუშაოები, მართალია, წარმატებით დასრულდა, მაგრამ მეორე ნაწილის დაწყებისას, ის ცნობილი სახელმწიფო სეკვესტრი ''მოვიდა'' და როცა ხელისუფლებაში მოვედით, მეორე ეტაპისთვის განკუთვნილი სამუშაოები, პრაქტიკულად, ვერ შესრულდა. ისინი თავიდან არ უნდა ყოფილიყო გაწერილი პირველ და მეორე ეტაპად. სამწუხაროდ, ეს პროცესები ადგილობრივ ხელისუფლებაში ჩვენს მოსვლას დაემთხვა. თუმცა, გულხელდაკრეფილები მაინც არ ვყოფილვართ და პირველი ეტაპის სამუშაოებიდან დაზოგილი თანხების ხარჯზე რამდენიმე პრობლემა მოვაგვარეთ. ძირითადად კი, თანხა იმ კორპუსების გადახურვაზე მივმართეთ, სადაც სავალალო მდგომარეობა გვქონდა, წყალი ჩადიოდა.''

სამთავრობო სხდომაზე აქცენტი დასაქმებაზეც გაკეთდა და საუბარი ამ პრობლემის თუ საერთოდ არა, რამდენადმე მოსაგვარებლად ახალი საწარმოების გახსნასაც შეეხო. ''ყველა ინფრასტრუქტურული პროექტის შესრულება, იმთავითვე შექმნილი სამუშაო ადგილი რომ არის, ცხადია. ამიტომ ამ საკითხებს განსაკუთრებული მიდგომა სჭირდება.''_ ამბობს ვალერი ფოცხვერია.

და ძალიან საყურადღებო ფრაზა ჟურნალისტებისთვის, პრემიერის ნათქვამი და ჩვენამდე გამგებლის მიერ მოტანილი, განსაკუთრებით საინტერესო კი იმიტომაც, რომ 21 მარტს ქართული ჟურნალისტიკა მისივე სახელობის დღესასწაულს ზეიმობს. _ ''აქცენტი გაკეთებული იყო მედიაზე. მინდა თქვენც იცოდეთ, აღინიშნა, რომ დღეს არც ერთი მხარდამჭერი მედია საშუალება არ ჰყავს ხელისუფლებას. იქ იყო საუბარი იმაზე, რომ ეს ცუდია, ან კარგია, მაგრამ საერთო ჯამში შევთანხმდით, რომ რაც იყო, არ უნდა განმეორდეს და მედია უნდა იყოს თავისუფალი! ჩვენთვის მთავარია, დაიწეროს სიმართლე. '' მკითხველისას ვერ გეტყვით, მაგრამ ჩვენთვის, ჟურნალისტებისთვის გასაგებია, ''რა ნექტრით არის დაკბენილი'' ხელისუფლების ეს მოსაზრება. ეს პირველი არ არის, ამგვარი აზრი ყველა წინა ხელისუფლებას აწუხებდა და საქმეს ისე ეტყობა, არც მომავალში მისცემს მოსვენებას.

''ქამრის მოჭერა''_ ქართულ პოლიტიკაში კარგა ხნის დამკვიდრებული ტერმინი, ბოლო დროს კვლავ ხშირად ესმის ყურს. ესმის იმიტომ, რომ აუცილებელი გახდა დევალვირებული, ანუ გაუფასურებული ლარის, კურსის და ღირსების აღსადგენად. ხელისუფლება ქამრის შემოჭერის აუცილებლობას ჰიგიენური საშუალებებისა და დანარჩენი ფუფუნების შეზღუდვაში ხედავს. სამტრედიის მუნიციპალიტეტში აზიური ოთახი არა, მაგრამ გამგებლის კაბინეტი, რომლისთვისაც რემონტი აუცილებელი იყო, უკვე თითქმის დასრულებულია. მისი ახალი ავეჯით აღჭურვა, ამჯერად მოჭერილი ქამრის სივიწროვეზეა დამოკიდებული.

''ეს ოთახი ავარიული იყო და მგონი საკამათო არაა, რომ იგი უნდა შეკეთებულიყო. რაც შეეხება ავეჯს, ყველა ხედავს, რომ იგი ძალიან ძველია, კოხრეიძე რომ იყო რაიკომის მდივანი, მაშინ არის შეძენილი. თავის დროზე საკრებულოში შეიცვალა ინტერიერ-ექსტერიერი. ალბათ აქაც შეცვლიდა წინა ხელისუფლება, მაგრამ არჩევნებმა და ახალი ხელისუფლების მოსვლამ შეაჩერა. ამ ეტაპზე ავეჯის შეცვლისგან, რა თქმა უნდა, თავს შევიკავებთ. ქამარი კი, ქამარი კარგა ხანია, ისე მაქვს შემოჭერილი, რომ ლამის სული მაქვს შეკავებული. არავითარი ფუფუნება ჩემს ირგვლივ არ არის!''_ აცხადებს მუნიციპალიტეტის გამგებელი.

პრემიერ-მინისტრთან შეხვედრის შემდეგ რეგიონებსა და რაიონებში, და მთლიანად ქვეყანაში, ცვლილებებს ელოდნენ. იქამდე არაერთ გამგებელს ''თავებს დააყრევინებენ'', ანუ სამსახურიდან გაათავისუფლებენო, მაგრამ ეს ამბავიც ჭორად დარჩა. არავის თავი რომ არავის სჭირდება, ესეც რა თქმა უნდა, მაგრამ ამ შეხვედრის შედეგი გაუმჯობესებული სოციალური თუ ინფრასტრუქტურული პროცესები რომ უნდა იყოს, ესეც ცხადია. იმედია, პრაქტიკა შეხვედრა შეხვედრისთვის, წინა ხელისუფლების სხვა თვისებებივით გაჰყვება წარსულს.

# „საუბრები მამაკაცებისთვის" მუნიციპალიტეტის საკრებულოში

ნათია ნაცვლიშვილი

**საქართველოში ყოველი მე-11 ქალი მეუღლის მხრიდან ფიზიკური ძალადობის მსხვერპლია. ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალების 1/3, ანუ 78% არჩევს დუმილს. ძალადობის მსხვერპლს შეუძლია, დარეკოს საპატრულო პოლიციაში თუ მოძალადეს დანაშაული დაუდასტურდა, მას 1-დან 3 წლამდე პატიმრობა ემუქრება _ ამ და მრავალი სხვა საგულისხმო ინფორმაციის მოწოდების პარალელურად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებთან ტრენერმა მიშა როგავამ გამართა მსჯელობა ძალადობის თემაზე. ''მამაკაცური საუბრები'' ასეთი სახელწოდება ჰქონდა ტრენინგს, რომელიც გენდერს და გენდერულ თანასწორობას, ოჯახში ძალადობის საკითხებს ეხებოდა. მიშა როგავა, ასოციაცია ''ათინათის'' თანამშრომელია. ეს ასოციაცია არასამთავრობო ორგანიზაციაა, ის 18 წელია ზუგდიდში მოღვაწეობს. ორგანიზაცია ახორციელებს სხვადასხვა პროექტს, მათ შორისა, ''სექსუალური და გენდერული ძალადობის პრევენცია და რედუქცია სამეგრელოში'', ამჯერად პარტნიორი ორგანიზაციის მოწვევით, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩაატარეს ტრენინგი.**

ტრენერმა ბევრი ისაუბრა მოძალადის ფსიქიკის თავისებურებებზე, იმაზე რომ ქართველ მამაკაცს სურს ოჯახში დომინანტის და ლიდერის ფუნქციის შენარჩუნება და თავისი სიძლიერის მასკულინური ფორმებით დამტკიცება. საილუსტრაციოდ ნაჩვენები იქნა ფილმები, სადაც ასევე ნათქვამი იყო, რომ მამაკაცს ეს ფსიქოლოგიური აბჯარი იცავს _ ემოცია და ტირილი ქალის საქმეა!



საქართველოში მოქმედებს კანონი ოჯახში ძალადობის შესახებ, მუშაობს მრავალი არასამთავრობო ორგანიზაცია, მათ შორის _ ძალადობის დაცვის ქსელი, არსებობს ოჯახში ძალადობის ცხელი ხაზი, ანუ ყველაფერი კეთდება საიმისოდ, რომ ქალის უფლებები უფრო მეტად იყოს დაცული. ამის ერთ-ერთ დასტურად ნაჩვენები იქნა სარეკლამო კლიპი, სადაც ცნობილი ადამიანები, ძალისმიერი სპორტის წარმომადგენლები _ მორაგბეები გმობენ სუსტ სქესზე ძალადობას და გაუმართლებლად მიიჩნევენ მას. თბილისში, ბათუმში, კახეთში, ზუგდიდსა და ქუთაისში არსებობს თავშესაფრები ძალადობის მსხვერპლთათვის, იგეგმება მოძალადის სარეაბილიტაციო ცენტრების გახსნაც. არსებობს სტატისტიკა, თუ საქართველოს რომელ რაიონში უფრო ხშირია მამაკაცის ქალზე ძალადობის შემთხვევები, რაოდენ უცნაურიც არ უნდა მოგეჩვენოთ, ამ თვალსაზრისით თურმე სამეგრელო და კახეთი ლიდერობენ.

''თუკი ჩვენ არ გვინდა ჩვენი ოჯახის წევრმა იურთიერთოს მეძავ ქალბატონთან, მაშინ რატომ ვხდებით გულთბილად ჩვენთან სტუმრად მოსულ მოძალადე მამაკაცს, რომელიც ცოლს სცემს, რატომ ვსვამთ მასთან ერთად სიყვარულის სადღეგრძელოს? თუ ცუდი ყოფაქცევის ქალების მარგინალიზაცია ხდება საზოგადოებაში, რატომ არ ვახდენთ მოძალადე მამაკაცთა მარგინალიზაციას?'' _ ტრენერის ამ შეკითხვის პასუხად დარბაზიდან გაისმა: კი, ბატონო, ვგმობთ ძალადობას, მაგრამ სახელმწიფომ, კანონმა გააკონტროლოს და შეაკავოს მსგავსი მოძალადე!



ვინაიდან სოფლის პროგრამებით მიმდინარე სამუშაოებზე დასასწრებად დარბაზიდან ბევრი დეპუტატი ბოდიშებით გავიდა, დარჩენილებისგან მოუწია ტრენერს საბოლოო აზრის გაგება, თუ სად ხედავენ ისინი, როგორც ჩინოსნები მათ როლს ამ პრობლემათა აღმოფხვრაში და აქვთ თუ არა რაიმე ხედვები?

ჯონი ახობაძემ ერთ-ერთ მთავარ პირობად ქალბატონების დასაქმება დაასახელა, რომ ისინი მეტად რეალიზებულნი იყვნენ საზოგადოებაში და თავდაცვის უფრო მეტი მექანიზმი გააჩნდეთ. _ არა მგონია ძალადობის შემთხვევები ასე მაღალი იყოს ჩვენს მუნიციპალიტეტში. _ განაცხადა მან. რაჟდენ ტორონჯაძემ რეპლიკა ისროლა: თანამედროვე ქალების 78% ვერ ბედავს იმის აღიარებას, მცემენო და ძველად, ძველი ქალბატონები გაბედავდნენ ამის თქმას? ბადრი შენგელიამ და პაატა კოხრეიძემ სოციალური პრობლემებით ახსნეს ძალადობის გახშირებული ფაქტები და სოციალური სიდუხჭირის დაძლევა მიიჩნიეს მთავარ საქმედ. ზურაბ ზაქარიაძემ განაცხადა, თანამედროვე ქალბატონებს იმდენი ინფორმაცია აქვთ, საკუთარი თავის დაცვას იმედია კარგად შეძლებენო.

მიშა როგავა:

''დღეს ჩვენ გვქონდა საინტერესო დისკუსია, კამათი, შევთავაზე მათ სავარჯიშო'' 2 სხვადასხვა ჯგუფს მივეცი ერთი ქალბატონის ორი ფოტო, ერთმა ჯგუფმა ეს ქალბატონი დაახასიათა ძალიან დადებითად, მეორემ კი, უარყოფითად. ეს უარყოფითი დახასიათება კი გამოიწვია, იმან, რომ ის იყო ქალბატონი, რომელსაც პირში სიგარეტი ჰქონდა გაჩრილი. სიგარეტიანი ქალი ასე დაახასიათეს შემდეგი ეპითეტებით: მძიმე ხასიათის, ნაკლებად სიმპათიური, არასაიმედო, არაკანონმორჩილი და ქართული ხასიათისათვის შეუფერებელი და იგივე ქალბატონი ოღონდ, უსიგარეტო დაახასიათეს როგორც მიზანმიმართული, კონცენტრირებული, სანდომიანი, დადებითი აურის მქონე და ოფისის თანამშრომელი. ძალიან საინტერესო იყო იმ ფილმის ნახვა, რომელსაც ჰქვია ''აუხდენელი სიზმარი'' ფილმი იმაზეა, თუ ერთ ოჯახში ქალსა და კაცს შორის როგორაა გადანაწილებული ფუნქციები. მამაკაცებმა ნახეს, რომ ქალს აქვს ორმაგი დატვირთვა, უწევს მუშაობა, შვილებზე და კიდევ ერთ ბავშვზე _ ქმარზე ზრუნვა. ძალიან ბევრი სტერეოტიპული და ქართული აზრი გამოითქვა. საბოლოო ჯამში შედეგი ისაა, რომ ყველა მათგანი გმობს ძალადობას და მიიჩნევს, რომ ყველა ის კამპანია, რომელიც მიმდინარეობს ძალადობის წინააღმდეგ და რომლის ინიციატორები არიან ცნობილი ადამიანები, არის საჭირო და ასეთი აქტივობები უნდა გაგრძელდეს.

# 21 მარტი “ქართული ოცნებისთვის” ტესტი იქნება

ნინო ნანიტაშვილი

ბოლო რამდენიმე წელია, 21 მარტი საქართველოში ქართული ჟურნალისტიკის დღედ აღინიშნება. წელს კი “ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” ლიდერებმა 21 მარტის ირგვლივ ფართო საზოგადოებრიობის ყურადღება თვეზე ადრე მიიპყრეს და იქვე დააანონსეს აქცია, რომელიც თბილისში 2015 წლის 21 მარტს უნდა გაიმართოს. ოპოზიციაში გადასულმა ყოფილმა სახელისუფლებო პარტიამ გადაწყვიტა, ამ დღეს, 2012 წლის 1-ლი ოქტომბრის არჩევნებიდან 2 წელიწად-ნახევრის შემდეგ, ქართველი ხალხი გამოაფხიზლოს. მათი მთავარი მოთხოვნა მთავრობის გადაყენებაა.

ეჭვი არავის ეპარება, რომ აქციის ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი ყოფილი პრეზიდენტი, მიხეილ სააკაშვილია, რომელიც მთელი ამ ხნის მანძილზე საქართველოს ირგვლივ ტრიალებს და მისი პოლიტიკური ოპონენტების სიტყვები რომ გავიმეოროთ, ამგვარი აქციებით იგი ხელისუფლებისაკენ გზის გაკვალვას ცდილობს.

21 მარტის მიმართ ქართველი ხალხის დამოკიდებულება არაერთგვაროვანია. ნაწილი ფიქრობს, რომ იგი ხელისუფლებიდან ჩამოშორებული პარტიის რეაბილიტაციის მცდელობაა, ნაწილი კი ისეა გაღიზიანებული, რომ პარტიის საერთოდ აკრძალვას და მათი ლიდერების ციხეებში მოთავსებას მოითხოვს. თავად “ნაციონალები” კი ამბობენ, რომ აქციას ქვეყნის გადარჩენის ფუნქცია აქვს.

მართალია, 21 მარტის ბედს რეგიონები ნაკლებად წყვეტენ, “სამტრედიის მაცნე” მაინც შეეცადა, სამტრედიაში მოქმედ პოლიტიკურ პარტიებს დაკავშირებოდა და ამ დღესთან დაკავშირებით მათი ლიდერების შეხედულებები მოესმინა.



“კონსერვატორი” კობა ძიძიგური 21 მარტის აქციას ქვეყნის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებას უწოდებს: “ვინც მიცნობს, დამერწმუნება, რომ ძალიან ბევრ აქციაზე ვარ ნამყოფი და ნამდვილად არ ვიქნებოდი რომელიმე პოლიტიკური პარტიის მიერ მოწყობილი აქციის წინააღმდეგი, თუნდაც იგივე “ნაციონალებისა”, რომ არა “ნაციონალების” მხრიდან წინასწარ გაჟღერებული ქვეყანაში არეულობის მოწყობის სქემა. როდესაც პარტიის ერთ-ერთი ლიდერი გეგმავს ქვეყანაში დესტაბილიზაციას, ახალი მაიდნის მოწყობას, იმუქრება და ცდილობს, სხვადასხვა გზით საქართველოში არეულობა შემოიტანოს, ბუნებრივია, ასეთი აქციის წინააღმდეგი ვარ და ვიქნები მეც და ჩემი თანამებრძოლებიც. ქვეყნის განვითარებისათვის ოპოზიცია ნამდვილად აუცილებელია. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ამ ოპოზიციაში არის ხალხი, რომლებმაც ქვეყანაში საშინელი რეპრესიები ჩაატარეს, არაერთი ადამიანის კერძო საკუთრებას შეეხნენ, ათასობით კაცი საპატიმროში არაადამიანური მოპყრობით აწამეს, მათ მორალური უფლება არ აქვთ, მორალი აქეთ გვიკითხონ. გარდა ამისა, “ნაციონალების” კეთილმოსურნეობაში ძალიან ძნელია, ეჭვი არ შევიტანოთ. არა მგონია, 21 მარტის აქციამ გრანდიოზული სახე მიიღოს. მართალია, ქვეყანაში ბევრია უკმაყოფილება ხელისუფლების მიმართ, მაგრამ ხალხი ნამდვილად არ არის ისე დაბრმავებული, რომ მთავრობის მცდელობას ვერ ხედავდნენ საქართველოში პრობლემების მოგვარების თაობაზე. ამდენად, მიმაჩნია, რომ 21 მარტი იქნება უბრალოდ “ნაციონალების” მხრიდან კიდევ ერთი თავის გამოჩენის სურვილი, რომ დაამტკიცონ თავიანთი ძლევამოსილება. ხელისუფლებას 21 მარტი ვერ შეაშინებს”.



პოლიტიკურ პროცესებში ასე თუ ისე ჩართულია. იყო პერიოდი, როცა ილია ქარჩილაძეს სამტრედიელები აქტიურ პოზიციაში ხედავდნენ, თუმცა იყო ის პერიოდიც, კერძოდ, 2005 წლიდან 2008 წლამდე ფაქტობრივად ეკრძალებოდა პოლიტიკური აქტივობა. დღეს იგი ერთ-ერთი რიგითი უმუშევარია, როგორც საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა. 2012 წლის 1-ლ ოქტომბერს, ისიც მომავლის იმედით უყურებდა. მეტ-ნაკლებად პრეტენზიები დღევანდელ ხელისუფლებასთან მასაც გააჩნია, თუმცა თვლის, რომ “ნაციონალების” ხელისუფლებაში დაბრუნება საზოგადოებრივი განვითარების გზიდან გადახვევა იქნება. 21 მარტის აქციაზე მას თავისი ნეგატიური დამოკიდებულება გააჩნია: “დავიწყებ იქედან, “ნაციონალების” მტკიცება, რომ 21 მარტი შემთხვევითი დღეა, არ ვეთანხმები. მტკიცედ ვარ დარწმუნებული, როგორც ადრე, ახლაც შეგნებულად იქნა იგი დამთხვეული ქართული ჟურნალისტიკის დღეს, იმ პროფესიის ადამიანების პროფესიულ დღეს, რომლებიც ყველაზე მეტად უნდა იყვნენ თავისუფლები და რომელთა გაშუქებულ მასალებს დიდი საზოგადოებრივი ინტერესი და გავლენა ახლავს. მაგრამ, მინდა, მათ კარგად გაიხსენონ თუმცა დავიწყებულიც არ ექნებათ, “ნაციონალების” მმართველობის პერიოდში რას განიცდიდა ქართული ჟურნალისტიკა. აქედან გამომდინარე, არც ქართველი მოსახლეობაა იმდენად გულმავიწყი, რომ “ნაციონალური მოძრაობის” 9 წლიანი პერიოდი უკვე დავიწყებული ჰქონდეს. ჩემი სუბიექტური აზრია, რომ 21 მარტს აქციაზე მივა ის ხალხი, ვინ “ნაციონალური მოძრაობის” მმართველობის პერიოდში. ნებსით თუ უნებლიედ, დანაშაული ჩაიდინა და დღეს ცდილობს, საზოგადოებას თავი პოლიტიკურად ჩაგრულად დაანახოს. ხალხი ბრძენია, მჯერა, 21 მარტს ადამიანები გონივრულ გადაწყვეტილებას თავად მიიღებენ და ქვეყანას უფსკრულისაკენ აღარ წაიყვანენ”.



21 მარტს დედაქალაქში გამგზავრებას სამტრედიელი “ნაციონალებიც” აპირებენ. მათი საერთო განწყობა 19 მარტს რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარემ ემზარ შუბლაძემ რამდენიმე წინადადებაში გამოხატა: “ალბათ, აინტერესებს მკითხველს, რატომ ვიკრიბებით 21 მარტს საქართველოს დედაქალაქში? მიზანი ერთია _ მთავრობის გადადგომა, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენი მოთხოვნაა, გინდა თუ არა, “ნაციონალური მოძრაობის” წევრები მოვიდნენ მთავრობაში. უბრალოდ, ჩვენ გვაქვს პრეტენზია, რომ ეს მთავრობა ამ შემდგენლობით არის უუნარო და არაფრის მაქნისი. ამაზე მეტყველებს ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა, რაც გამოხატულია ლარის გაუფასურებაში, ხალხის გაღატაკებაში, უმუშევართა რაოდენობის გაზრდაში. 21 მარტს პარტიის ლიდერებთან ერთად თბილისში წასვლის მსურველთა რაოდენობა დიდია. პარტიაში მოდიან და გვთხოვენ, ჩვენთან ერთად წამოვიდნენ აქციაზე, ბევრი თავიანთი ტრანსპორტით აპირებს გამგზავრებას. ასე გაგრძელება აღარ შეიძლება, რაღაც ან ვიღაც აუცილებლად უნდა შეიცვალოს. ამ მთავრობას რაიმე ეს შეცვლის უნარი არა აქვს. არადა, ფაქტობრივად, ქვეყანა კოლაფსისაკენ მიდის. მე ამ ქვეყნის შვილი ვარ და მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკურად მათი წარუმატებლობა ჩვენს წისქვილზე ასხმას წყალს, მაინც არ მახარებს, რადგან საბოლოო ჯამში ეს ჩემი ქვეყნის განვითარებას აზარალებს. წინასწარ ვერ გეტყვით, როგორ განვითარდება მოვლენები 21 მარტს, მაგრამ დღეისათვის რა ინფორმაციებიც მოგვდის, ადგილობრივი მთავრობა თვითმმართველობაში დასაქმებულ ჩვენს მხარდამჭერებს თავიანთი ჭკუით რჩევას აძლევენ, რომ თუ ისინი აქციაზე დაფიქსირდებიან, მათ პრობლემები შეექმნებათ”.

21 მარტს “ნაციონალებს” არაფერი რომ არ გამოუვათ, ამაში მტკიცედ არის დარწმუნებული “ქართული ოცნება _ დემოკრატიული საქართველოს” სამტრედიის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე. ვალერიანე ფოცხვერიას პოლიტიკური ოპონენტების მხრიდან ქვეყნის დესტაბილიზაციის მცდელობაში ეჭვი შეაქვს: “მათი უფლებაა, უნდათ, 21 მარტს გამოვიდნენ ქუჩაში, უნდათ _ 23 მარტს. ახლა ის დრო არ არის, მშვიდობიან აქციებზე ადამიანებს რომ სცემდნენ და ჰკლავდნენ. არა მგონია, ჩვენი ხელისუფლება ამ გზით წავიდეს და “ნაციონალების” გამოცდილება გაიზიაროს. ოპოზიციას სურს, პირველ რიგში, დაამტკიცოს, რომ არსებობენ, ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური სიდუხჭირე სათავისოდ გამოიყენონ. მე არ ვარ ის კაცი, ვთქვა, რომ ჩვენთან ყველაფერი კარგად არის, მაგრამ “ნაციონალებს” სათქმელი არაფერი აქვთ. ის პრობლემები, რაც ჩვენს ქვეყანას აქვს, მათ დაგვიტოვეს. ჩვენი მიზანია, იმ კრიზისიდან გამოვიდეთ, რაც წინა ხელისუფლებამ მემკვიდრეობით გადმოგვცა. თუკი “ნაციონალებს” 21 მარტს დესტაბილიზაცია სურთ, რისი სურვილიც მათ ნამდვილად აქვთ, ამ შემთხვევაში სათანადო დონეზე დადგება როგორც სახელმწიფო, ასევე ხალხი. წინასწარ ვიცი, ამ დღეს “ნაციონალურ მოძრაობას” არაფერი გამოუვა. მათი ხელისუფლებაში მოსვლის არანაირი პერსპექტივა არ არსებობს, ამას ქართველი ხალხი არ დაუშვებს”.



“რესპუბლიკელი” იმედა გოგავა 21 მარტის აქციის მიმართ ლიბერალურია. თვლის, რომ “ნაციონალების” მიერ ორგანიზებული ღონისძიების მთავარი მიზანია, ყოფილმა სახელისუფლებო პარტიამ გაარკვიოს, რა ძალები შემორჩათ. როგორც თავად ამბობს, 21 მარტი იმედა გოგავას არანაირად არ ანერვიულებს: “აქციაზე, დიდი ალბათობით, “ნაციონალური მოძრაობა” შეეცდება, ქვეყნის ყველა რეგიონიდან თავისი მომხრეების მობილიზება მოახდინოს. უფრო გარე სამყაროსათვის დასანახად, კიდევ ერთხელ დაამტკიცოს, რომ ისინი, როგორც პოლიტიკური ორგანიზაცია, საქართველოს მოქალაქეებს ჩამოწერილი არ ჰყავს. ზოგადად კი, მე ვფიქრობ, ეს არის პოლიტიკური პარტიის არსენალში ერთ-ერთი ხერხი, რომლითაც ისინი ფიქრობენ პოლიტიკური დივიდენდების მოპოვებას. რამდენად იქნება ეს უკანასკნელი მათთვის მომგებიანი, რამდენად შეძლებენ ამომრჩევლის გულის მოგებას, ამ შედეგს არჩევნებზე ვიხილავთ. პირადად მე, როგორც “რესპუბლიკური პარტიის” წარმომადგენელი, ვთვლი, რომ მსგავსი ტიპის აქციები ხელისუფლებისთვისაც უნდა იყოს საინტერესო, რათა ისინი არ მოსწყდნენ რეალობას, კარგად გაიგონ ხალხის ხმა. თუ რამ ისე არ არის, კეთილი ინებონ და შეცვალონ მიდგომები ამა თუ იმ საკითხზე. ზოგადად ხალხი ქუჩაში რომ გამოდის, ეს რომელიმე პოლიტიკური ძალის კი არა, ხელისუფლების დამსახურებაა. ჩვენ გვახსოვს 2007-2009 წლების ქუჩის აქციები, გვახსოვს კარვების ქალაქი. იმ შემთხვევაში ოპოზიცია ვერ გამოიყვანდა იმდენ ხალხს, რომ არა ხელისუფლებაზე განაწყენება. 21 მარტი გარკვეულწილად “ქართული ოცნებისთვის” ტესტი იქნება”.



## სოფლის პროგრამებზე მუშაობა ყრილობით იწყება
## არჩევნებისას რაღაც გაგეპარება

თეა ბაბუნაშვილი

სოფლის ყრილობამ უნდა გადაწყვიტოსო და დიდი ჯიხაიშელები იმაზე სასაუბროდ შეიკრიბნენ, რაში და როგორ დახარჯულიყო სოფლის პროგრამით გამოყოფილი თანხა. მართალია, წელს მან ცოტა მოიკლო, მაგრამ რაც ერგოთ, იმის განაწილება დიდი სოფლის ყველა უბანში მოსაგვარებელ პრობლემებზე მეტ-ნაკლებად მოხერხდა. მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტის გამგებელი, ვალერი ფოცხვერია, მისი მოადგილე როსტომ თავაძე, ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი ზურაბ გოგია და საკრებულოს ინფრასტრუქტურისა და მიწათმოწყობის კომისიის თავმჯდომარე მერაბ უღრელიძე სოფლის ყრილობას ესწრებოდნენ, გადაწყვეტილებების მიღებაში არ ჩარეულან. ეს იმიტომ, რომ კანონი მათ ამის უფლებას არ აძლევს. ისინი მხოლოდ მოსახლეობასთან შეხვედრის ფორმატით შემოიფარგლნენ და რამდენიმე საჭირბოროტო საკითხზე პროგრამის გარეთ დაჰპირდნენ დახმარებას დიდ ჯიხაიშელებს.

სოფლის მაჟორიტარმა გოგი ლეჟავამ მოკლედ ისაუბრა იმ საკითხებზე, რაც მოსახლეობის თხოვნით და გასული წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამით უკვე მოგვარდა. ისინი კი არც-თუ ისე ცოტა აღმოჩნდა _ გაიწმინდა წყალგამტარი, ე.წ. ნიკოლაძისეული არხები, სახელოვნებო სკოლა სოფლის გამგეობის პირველ სართულზე გადმოიტანეს და მოაწესრიგეს, ასევე, სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა ამბულატორიას, შეკეთდა და განათება დამონტაჟდა მეორე მსოფლიო ომში და 9 აპრილს დაღუპულთა მემორიალზე, შემოირაგვა ერთ-ერთი სასაფლაო, საბავშვო ბაღებში რიგი ინფრასტრუქტურული პრობლემები აღმოიფხვრა. დეპუტატს მოსახლეობამ სთხოვა და რამდენიმე უბანში გაგრძელდა სამარშრუტო ტაქსის რეისი, განაპირა უბნებშიც კი დადის საპენსიო მანქანა. გარდა ამისა, მართალია, ნელი ტემპით, მაგრამ მიმდინარეობს სოფლის გაზიფიცირება.

იმ შეხვედრაზე კი, სამკაციან კომისიას დაევალა ამჯერად გამოყოფილი თანხის განკარგვა. სოფლის მაჟორიტარი გოგი ლეჟავა აქცენტს მისი ხარჯვისას გამჭვირვალობასა და საჯაროობაზე აკეთებს. “სოფელს თავად უნდა გადაეწყვიტა, რა მიმართულებით წარიმართებოდა ეს თანხები. დაისვა რამდენიმე ისეთი საკითხი, წლევანდელ პრიორიტეტებში რომ ვერ მოხვდა, მაგრამ შევეცდებით სხვა ძალებით შევძლოთ მათი მოგვარება. ყველაზე მთავარია, ჩემმა თანასოფლელებმა დაინახონ და დარწმუნდნენ, რომ გამოყოფილი თანხის ყველა თეთრი პატიოსნად მოხმარდება მათ და ჩვენს სოფელს”. იმ ყრილობაზე კი გადაწყვიტეს, რომ სახელმწიფოს მიერ სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გამოყოფილი 66 623 ლარით ორივე ბაგა-ბაღში დაუსრულდება ის სარემონტო სამუშაოები, რაც წინა წლიდან დარჩა, მოწესრიგდება სველი წერტილები, აგრეთვე, დასრულდება სოფლის ამბულატორიაში დარჩენილი ინფრასტრუქტურული სამუშაოები. მოწესრიგდება შიდასასოფლო გზები, განსაკუთრებით კი ის გზა, სასაფლაომდე რომ მიდის.



გარდა ამისა, დიდ ჯიხაიშში კანალიზაციის პრობლემა დგას, რომელიც სასწრაფოდ მოსაგვარებელია. მუნიციპალიტეტის გამგებელი საკითხის შესწავლას და მის მოგვარებას პროგრამის გარეთ დაჰპირდა დიდ ჯიხაიშელებს. კიდევ რამდენიმე ისეთ საკითხზე აღუთქვა დახმარება, შედარებით ადვილად რომ მოგვარდება, მაგრამ მოსახლეობისთვის საჭირბოროტოა. “ის თანხები რაც გამოიყოფა, ჩვენც ვიცით, რომ ძალიან ცოტაა, ზღვაში წვეთია არსებული პრობლემების ფონზე, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ საქმე სხვაგანაც ბევრია და მეტი საშუალება არ არის. ნუ ვიქნებით სულსწრაფები, სულწასულები და ყველაფერი მოგვარდება ნელ-ნელა.”

შეხვედრაზე გამგებელი დიდ ჯიხაიშელებს ქვეყნის მიერ აღებულ კურსზე, მართვის პრიორიტეტებზე, დღესდღეობით მიმდინარე პროცესებზე ესაუბრა და განსაკუთრებულად აღნიშნა, რომ “სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობა ფუფუნებით არ ცხოვრობს. იქ ყველა ხელფასზეა დამოკიდებული. სურვილი გვაქვს, ბევრი ხელფასიანი და დასაქმებული გვყავდეს. ახლა, “რუსთავი 2” გვიპიარებს, “ქართულმა ოცნებამ” ეს დაპირდით, ის დაპირდით ხალხსო. არის ზოგჯერ, არჩევნებზე გაგეპარება რაღაცები, მაგრამ არც ბატონ გოგის და არც მე არც ერთი ისეთი დაპირება არ მოგვიცია, რომ მისი შესრულება შეუძლებელი იყოს. რას და როგორ ვაკეთებთ, ყველა თქვენგანი ხედავს და დაინახავს.”

გამგებლის წარმომადგენლის მოვალეობის შემსრულებელი დიდ ჯიხაიშში, ალექსანდრე ლეჟავა თანასოფლელებს მიმართულებას აძლევდა შესასრულებელი სამუშაოების შერჩევისას და ხაზს უსვამდა, რომ თანხები მიზნობრივად და გამჭვირვალედ უნდა დახარჯულიყო.

სოფლის პროგრამებით შესასრულებელი სამუშაოების განსასაზღვრად ეს პირველი სოფლის ყრილობა გახლდათ. მალე დიდი ჯიხაიშელებს სხვა სოფლებიც შეუერთდებიან და გაზაფხული სამუშაოთა ფრონტს სამტრედიის ყველა კუთხეში გაშლის.

# საკითხს სახელმწიფოებრივად უნდა მივუდგეთ

ნინო ნანიტაშვილი

დაახლოებით ერთი კვირის წინ სამტრედიის მუნიციპალიტეტში სახნავი ბარათების დაბრუნების პროცესი დაიწყო. ორშაბათის ტრადიციულ თათბირზე სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსმა, მამუკა კვანტალიანმა გამგებლის წარმომადგენლებს თემებში დაბრუნებული სასოფლო-სამეურნეო სახნავი ბარათების შესახებ ინსტრუქტაჟი ჩაუტარა: "დავალებას გაძლევთ, რომ ყოველ დაბრუნებულ ბარათს მიანიჭოთ შესაბამისი კოდი, უზრუნველყოთ მათზე მფლობელის და უფლებამოსილი პირის ხელმოწერები და დაამოწმოთ შესაბამისი ბეჭდით". დაბრუნებულ ბარათებს წარმომადგენლები მიანიჭებენ შესაბამის კოდს და ჩააბარებენ მუნიციპალიტეტის სამსახურს. კერძოდ, ნოე ივანიაძეს. ეს უკანასკნელი უზრუნველყოფს ამ ბარათების მიწოდებას პროექტების მართვის სააგენტოში, რადგან აგრარული ბარათების მფლობელს დროულად დაერიცხოს კუთვნილი ქულები".

სოფლებში, ადრე გაზაფხულზე სასოფლო-სამეურნეო ბარათებისა და ხვნა-თესვის გარდა, სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი საზრუნავი რომ არსებობს, ეს 16 მარტის ორშაბათის ტრადიციულ თათბირზეც გამოიკვეთა.

გამგებლის წარმომადგენლების მოკლე მოხსენებები ძირითად შემთხვევაში ერთი და იგივე შინაარსის მატარებელი გახლდათ, თუმცა იყო შემთხვევა, კონკრეტული წარმომადგენელი გამგებელს განსხვავებულ პრობლემაზე რომ აძლევდა ინფორმაციას.

ადგილობრივი ხელისუფლება მთავარი ზრუნვის ობიექტად იტოვებს სასოფლო-სამეურნეო ბარათების დარიგებას.





გამგებლის განმარტებით, პროცესი ნორმალური ტემპით მიმდინარეობს, თუმცა ვალერიანე ფოცხვერია წარმომადგენლების ხელში დარჩენილ გაუცემელ ბარათებს ვერ ეგუება: "პროცესი არ უნდა შენელდეს, ეცადეთ, დროზე მიიტანოთ გლეხობამდე მათი კუთვნილი ბარათები. ამის გამო წელს ხვნა-თესვა არ უნდა ჩავარდეს. სადაც შეიძლება დახვნა, დავხნათ კიდეც. მაქსიმალურად გამოვიყენოთ დრო და ტექნიკა".

მუნიციპალიტეტის გამგებელმა ორშაბათის ტრადიციულ თათბირზე არანაკლები ყურადღება გაამახვილა სოფლის მხარდაჭერის პროგრამებზე. ვალერიანე ფოცხვერია ისევ დაინტერესდა მოსახლეობის პრიორიტეტებით. შეიტყო, რომ ბაშელებს არხის გაწმენდის პრობლემა და აუცილებელი საჭიროება აქვთ. თუმცა იციან, რომ ეს სიამოვნება ძალიან ბევრი ღირს. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მინი სტადიონის მოწყობაზე არ იტყვიან უარს, რადგან ეს სოფლის ახალგაზრდობის მოთხოვნაა.

ორშაბათის ტრადიციულ თათბირზე მორიდებულად შენიშნეს, რომ დილით დიდ ჯიხაიშს ელექტროენერგია არ მიეწოდებოდა. კვლავ რჩება აქტუალურ საკითხად სოფლებში სამედიცინო მომსახურება. ვალერიანე ფოცხვერია ამ მიმართულებით მაინცდამაინც კმაყოფილი არ უნდა ჩანდეს, რადგან თათბირზე მის მიერ გაკეთებულ განცხადებაში გარკვეული უკმაყოფილება გაჟღერდა: "ერთადერთი სატრაბახო, რაც გვაქვს, ეს არის სამედიცინო პროგრამა და ეფექტურად იმასაც ვერ ვიყენებთ. მხედველობაში მყავს ექიმები და ექთნები, რომლებიც სოფლის მოსახლეობის ხარისხიან სამედიცინო მომსახურებას უნდა ეწეოდნენ. სამწუხაროდ, ვიცი რამდენიმე სოფელი, სადაც ეს ასე არ არის. მოგმართავთ ჩემს წარმომადგენლებს: დააკვირდით სიტუაციას, თუ მედ-პერსონალი არ ამართლებს მათზე დაკისრებულ ვალდებულებას, მათ ან დამოკიდებულება უნდა შეცვალონ, თუ არადა, ჩვენ ისინი შევცვალოთ".

კვალიფიკაციას არ უწუნებს, თუმცა, სამედიცინო პერსონალის მომსახურებით არ არის კმაყოფილი ოფეთის თემში გამგებლის წარმომადგენელი. ორშაბათის ტრადიციულ თათბირზე სოფლის ექიმისა და ექთნის საქმიანობაზე გამოკვეთილი პრეტენზია თეიმურაზ ჩხაიძიდანაც წამოვიდა: "ოფეთის თემს ჰყავს მაღალკვალიფიციური ექიმი და ექთანი, მაგრამ თუმცა მათი მუშაობა სოფლებში არაეფექტურია. ისინი სამტრედიიდან დადიან კვირაში ერთხელ, ოთხშაბათ დღეს. სოფლის ძირითადი მოსახლეობა ხანდაზმულია. დავუშვათ, მათ ექიმთან ერთი ვიზიტი ჩაატარონ, მიიღონ დანიშნულება. რაც შეეხება მკურნალობას, სამტრედიიდან ამოსული ექთანი კვირაში ერთხელ ნახვით რას გაუკეთებს. ამდენად, სოფელში მცხოვრებ ექთნებს უწევთ თანასოფლელებზე უსასყიდლოდ ზრუნვა. დავუშვათ, ექიმმა იაროს ქალაქიდან, ექთანი არ შეიძლება ჩვენივე თანასოფლელი იყოს და ხელფასიც მან აიღოს? ექიმმა ისიც კი იკადრა, ოფეთლებს უთხრა, ჩამოდით სამტრედიაში, იქ ნათესავებთან იყავით და გადასხმებს ქალაქში გაგიკეთებთო".

ორშაბათის ტრადიციულ თათბირზე აქტუალური იყო ბაგა-ბაღების თემა. გამგებლის წარმომადგენლების უმრავლესობა სოფლებში სააღმზრდელო დაწესებულების არქონას უჩივიან. თავიანთ გააქტიურებას კი იმით ხსნიან, რომ მთიანი ზონის მოსახლეობის მიგრაციის ერთ-ერთი წინაპირობა ისიც არის, რომ სოფლებში საბავშვო ბაღები არ ფუნქციონირებენ. ამ უკანასკნელს განსაკუთრებით გამოჩინებულის თემში გამგებლის წარმომადგენელი, ხათუნა ლებანიძე განიცდის. ითვალისწინებს რა ბიუჯეტის მდგომარეობას, ქალბატონი ხათუნა ადგილობრივი ხელისუფლებისაგან ახალი შენობის აგებას არ ითხოვს, ამ ეტაპზე სოფლის ადმინისტრაციული შენობის მეორე სართულზე გამოთავისუფლებული ფართის გარემონტების იდეით შემოდის.

ვალერიანე ფოცხვერია ხათუნა ლებანიძესა და სხვა წარმომადგენლებს საკითხის სახელმწიფოებრივად მიდგომას ურჩევს: "ბაღების პრობლემა ჩვენს მუნიციპალიტეტში სერიოზულად დგას. ქალაქში 22 საბავშვო ბაღი ფუნქციონირებს და შესაფერისი პირობები თითქმის არსად არის. დაახლოებით, 12 ახალი ბაღია ასაშენებელი, რისი საშუალებაც ჩვენს ბიუჯეტს არ გააჩნია. პრობლემას რომ დააყენებთ, იქვე იფიქრეთ, რამდენად გავწვდებით. ყველა საკითხს სახელმწიფოებრივად უნდა მივუდგეთ".

# ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო

ნინო ნანიტაშვილი

არსებობს ასეთი ბრძნული გამონათქვამი, რომელიც ქართულ ფრთიან მეტყველებაში ძალიან ხშირად გამოიყენება ხოლმე. ზოგჯერ ჩვეულება პოზიტივს შობს, ზოგჯერაც მავნე ჩვევას მავნე შედეგები მოჰყვება. თუმცა ამ უკანასკნელისგან დაზღვეულია იმერეთის პრობაციის ბიუროს სამტრედიის ოფისი და კერძოდ, ლევან კილაძე, რომელმაც ამ თანამდებობაზე მოსვლის დღიდან კეთილი საქმის კეთების პრაქტიკა შემოიღო და დაამკვიდრა.

გამონაკლისი არც წლევანდელი წელი ყოფილა. გაზაფხულის პირველივე დღეებში რამდენიმე პრობაციონერს თავი მოუყარა და რკინიგზის დასახლებაში გამწვანების აქციაზე გამოიყვანა: "ჩვევად გვაქვს გადაქცეული: ყოველ გაზაფხულსა და შემოდგომაზე გამწვანებაში მივიღოთ მონაწილეობა. დღევანდელი დღე მორიგი გამოხატულებაა იმ აქციებისა, რომლებშიც ბოლო რამდენიმე წელია, აქტიურად ვერთვებით. ტრადიციას არც წელს ვუღალატეთ, ამჯერად 7 პრობაციონერი გამოვიყვანე, ადგილობრივ ხელისუფლებასთან შეთანხმებით მოვედით რკინიგზის დასახლებაში არსებულ სკვერში და ვრგავთ ხეებს. ასევე კოპიტის ჯიშის ნერგებს, რომლებიც ჩვენს ბუნებრივ პირობებს საუკეთესოდ ეგუება. მასალა რკინიგზის სანერგე მეურნეობამ უსასყიდლოდ გადმოგვცა".



გამწვანების აქციის ორგანიზატორს ადგილი ქალაქის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელობამ გამოუყო. გამგებლის წარმომადგენელმა პრობაციონერებს კოლია კაკაბაძის ქუჩაზე მდებარე სკვერისკენ მისცა მიმართულება. თენგიზ ცაგურიამ იმ დღეს რამდენიმე ხის დარგვაში მონაწილეობა ლევან კილაძესთან ერთად მიიღო: "ეს სკვერი 5 წლის წინ მოეწყო. მაშინ აქ ერთი-ორი ძირი პალმა იყო. რამდენიმე დღის წინ მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინიციატივით გამწვანების აქცია გაიმართა და ტერიტორია რამდენიმე ათეული ხე-ნარგავით გამდიდრდა. ამჯერად პრობაციონერები ზრუნავენ დასახლების გამწვანებაზე".

თენგიზ ცაგურიამ "სამტრედიის მაცნესთან" კონკრეტული სკვერის განაშენიანების მომავალზე კომენტარში ისაუბრა. მან თქვა, რომ სულ ცოტა ხნის წინ კოლია კაკაბაძის ქუჩის მოსახლეობის წარმომადგენლობამ ქალაქის ტერიტორიული ორგანოს თხოვნით მიმართა, რომ სკვერის ტერიტორია გაფართოვდეს. ნებართვა მისცეს, დაინგრეს იქვე მდებარე დამხმარე შენობები, ე. წ. სარაიები და გამოთავისუფლებული ადგილი შემოიღობოს, რკინიგზის დასახლებაში მცხოვრებ ადამიანებს ერთი ლამაზი და ჯანსაღი დასასვენებელი ადგილი რომ ჰქონდეთ.



# როგორი ამინდი იქნება ხვალ?

ლევან გაბეჩავა



ამ კითხვაზე პასუხი წლის ნებისმიერ დროს საინტერესოა ნებისმიერი ასაკის, პროფესიის ადამიანისთვის.

სავსე მთვარე, ზღვის მიქცევა-მოქცევა, მიწისძვრები, მზის დაბნელება... ახდენდნენ და ახდენენ მნიშვნელოვან გავლენას ამინდსა და მეტეოროლოგიურ ვითარებაზე. ძველ დროში ჩვენი შორეული წინაპრები არც ერთ მნიშვნელოვან საქმეს არ დაიწყებდნენ მთვარის ფაზების გათვალისწინების გარეშე. ამართლებდა მათი დაკვირვებები, რომლებიც მომდევნო ათწლეულებში საფუძველი გახდა სრულიად ახალი მეცნიერული მიმართულების მეტეოროლოგიის ჩამოყალიბებისა.

მას შემდეგ, რაც პირველმა დედამიწელმა კოსმოსში იმოგზაურა და ფეხი მთვარეზე დადგა, მეცნიერებაში, როგორც ამბობენ, ძირეული გადატრიალება მოხდა.

თუ წინათ ვარსკვლავთმრიცხველებს, გრძნეულთ და ბრძენკაცთ დედამიწიდან უწევდათ თვალი ედევნებიათ ციურ მნათობთა განლაგება-მოძრაობაზე, თანამედროვე ეპოქაში კოსმოსური თანამგზავრებიდან წარმოებს დედამიწის ზედაპირის კარტოგრაფირება, იქედანვე ღებულობენ მძლავრი მეტეოროლოგიური სადგურები მოსალოდნელი ამინდის უტყუარ პროგნოზს, რაც შემდეგ საზოგადოებისთვის ხდება ცნობადი და გასათვალისწინებელი. ხვნა-თესვა შორეული მოგზაურობები, ფრენა სახელმწიფოდან სახელმწიფოში, შორეული ნაოსნობა და ა. შ. კლიმატურ-მეტეოროლოგიური პირობების გაუთვალისწინებლად შეუძლებელია.

წარმოუდგენელია ისაუბრო მეტეოროლოგიაზე და არაფერი ითქვას ზღვების, ტბების, მდინარეების სისუფთავესა და ფლორისა და ფაუნის მრავალფეროვნებაზე.

ბოლო ხანებში გახშირებული მწვანე აქციები წვეთია ზღვაში იმ ზარალთან, კაცობრიობამ რომ მიაყენა დედამიწას. ასე რომ, დედამიწის ყოველ ბინადარზე, მათ ქმედებებზეც ძალზე ბევრია დამოკიდებული.

ვიდრე მეტეოროლოგები მომდევნო დღეების კლიმატურ-მეტეოროლოგიურ ამინდს პროგნოზირებენ, ისევ საინტერესოა პასუხი კითხვაზე: როგორი ამინდი იქნება ხვალ?

23 მარტს მეტეოროლოგიის საერთაშორისო დღე აღინიშნება.

# 21 მარტი ქართული ჟურნალისტიკის დღეა!

## ქართული ჟურნალისტიკა ისეთია, როგორიც არის

**თეა ბაბუნაშვილი**

მას შემდეგ, რაც ტერმინი "ცივი წყალი დალიეთ" პოლიტიკაშიც მიღებული გახდა, გაბრაზებული ოპონენტების "დასაწყნარებლად", მოულოდნელი სულაც არ უნდა იყოს, რომ ქართული ჟურნალისტიკა ისეთია, როგორიც არის! სარკეში ჩაიხედავ და... ვერ მოიტყუებს სარკე, რადგან ესაა მისი დანიშნულება. ქვეყნის სარკე თუ ჟურნალისტიკაა, ვის რა უნდა ჰქონდეს სამდურავი მასთან, თუმცა, ბოროტ დედინაცვალს რომ ეუბნება, ყველაზე ლამაზი ხარო, ისეთი სარკეების გამოგონებაც კარგა ხანია შესაძლებელია.

დღეს ბევრია ჟურნალისტი, უფრო მეტია პოლიტიკოსი. ამიტომ, პოლიტიკაც და ჟურნალისტიკაც ისე მრავლადაა, რომ წალეკვამდეა მისული. ღირსება და ღირსეული ყოველთვის ცოტა იყო და სწორედ ამაშია, ალბათ, ღირსების ღირსება, ამიტომაა იგი სანთლით საძებნელი. ქვეყანას და დროს მორგებულ ჟურნალისტიკას ამიტომაც უჭირს, ღირსეულ და ინტელექტუალ მკითხველს თუ მაყურებელს მოაწონოს თავი.

და დღეს ისეთია ჟურნალისტიკა, როგორიც არის, სალანძღავად ადვილი, მიკერძოებული მიუკერძოებლის სურვილით, ან პირიქით, ჭორებით გაყვითლებული, ღვარძლიანი და იქვე _ მებრძოლი, მართალი, და ქვეყნის მაჯისცემას დადარაჯებული. "ერთმანეთის პატივისცემის დაკარგვამ ჩალის ფასად ჩამოგვიიაფა სიცოცხლე..." არ ვიცი, ვინ არის ამ სიტყვების ავტორი, მაგრამ ვხვდები, რომ ყველას და ყველაფრის სათქმელი თქვა. და რადგან ეს რეალობაა, არც ის არის საკვირველი, რატომ მოითხოვა თანამედროვეობამ ყოფიერების სარკეში ასეთად ჩანდეს ქართული ჟურნალისტიკა.

წარსულით თავმოწონება ქართველობის ნიშაა. ერთია, წარსული უნდა გქონდეს ღირსეული. საქმე ისაა, მომავალი რამდენად იქნება წარსულით თავმოსაწონები. დრო თავისას უჩვენოდ იზამს, პოლიტიკოსებისა და ჟურნალისტებისთვის კი ეს ყველაზე მეტად ღირს დაფიქრებად.



პროფესიული დღესასწაულია და 21 მარტს ბევრ რამეზეა საფიქრალი მანამ, სანამ სადღესასწაულო ღიმილს მოვირგებდეთ სახეზე! თავისუფლებასა და დემოკრატიაზე ნულარაფერს ვიტყვით, ჟურნალისტიკის დასაბამიდან დღემდე ამაზე ვსაუბრობთ და სასაუბრო ისევ ბევრია. საკუთარი თავისუფლებიდან დავიწყოთ და არ დაგვავიწყდეს, რომ შენი თავისუფლება იქ მთავრდება, სადაც სხვისი იწყება. პროფესიონალიზმთანაც ფრთხილად ვიყოთ, რადგან მასზეც ისე ცოტამ იცის ცოტა, ხელის თითებზე რომ დაგვეტევა ჩამოსათვლელად. შენი და სხვისი უფლების ზღვარის გარკვევასთან ერთად ალბათ ბევრი რამ მოგვარდებოდა, მაგრამ სწორედ ამის გარკვევაა აქამდე თავისუფლების ზღვარს რომ გვიწესებს.

21 მარტს ქართული ჟურნალისტიკის დღეა და სხვებთან, ღირსეულებთან, გულწრფელებთან, პროფესიონალებთან ერთად მოსაგონარი მრავლად აქვს თითქმის საუკუნოვანი წარსულის მქონე, მრავალჯერნაცად, ბევრისმნახველ ჩვენს გაზეთს. სათქმელსაც უკეთ ამბობს, ვიდრე ისინი, ირონიულ ღიმილით რომ წაიკითხავენ ამ სიტყვებს, თუმცა, გულში მასზე დათანხმების მეტი არაფერი დარჩენიათ. ზოგიერთი ჩასაფრებული სწორედ ამ ირონიით ცდილობს საკუთარი უინტელექტობის გადაფარვას.

"სამტრედიის მაცნე" კვლავ ეხმიანება დროს! ზღვარს დებს კეთილსინდისიერებასა და უსინდისობას, მორალსა და ამორალობას შორის. მას არ ეკადრება სხვანაირი იყოს, რადგან პროფესიონალიზმი მისი ახლო წარსული და დღევანდელობაა. ესაა სათქმელი და ნაანდერძევი მათთვისაც, ხვალ რომ უნდა საამაყო წარსულად აქციოს მისი დღევანდელობა და მათთვისაც, წარსული საამაყოდ რომ უნდა მოიგონოს! ჩვენ ვცდილობთ, ასეთები ვიყოთ, რადგან ასეთი მოიტანეს ჩვენამდე წარსული, ამგვარადვე გასაგრძელებლად.

პროფესიულ დღესასწაულს გილოცავთ კოლეგებო! კალამი არ დაგვჩლუნგებოდეს სიცრუის ზეობასა და ბოღმის ნთხევაში. ღირსეულის დაფასება გვესწავლოს და ნიჭის აღიარება. დროისთვის ფეხის აწყობაში ფეხი არ შეგვშლოდეს. სუფთა სინდისით გვეთქვას სათქმელი და ქართულ ჟურნალისტიკას სარკესავით აერეკლოს პროფესიონალიზმის ანარეკლი.

ეს გაყვითლებული ფურცლები ჩვენი რაიონის ისტორიაა! მას პატივისცემით ვინახავთ, რადგან ვიცით მათ შესაქმნელად საჭირო შრომის და ნიჭის ფასი. ასეა ყველასთვის, ვისაც სამტრედია უყვარს და საკუთარი წვლილი მიუძღვის მის მშენებლობაში. ჩვენ გვეამაყება ამ გაცრეცილი ფურცლების მემკვიდრეები რომ ვართ და როცა დღევანდელობასაც ამგვარად გააყვითლებს დრო, გვინდა, ისეთივე რუდუნებით ექცეოდნენ დღეს ჯერ ისევ თეთრ ფურცლებს ისინი, ჩვენს შემდეგ რომ გააგრძელებენ ესტაფეტას.

ეს "სამტრედიის მაცნეს" არქივია. მასში კომპლექტებად "აწყვია" დრო და ტუშით მიწერილი წლები 85 წლის წარსულს ფურცლავს. თუ დავუკვირდებით, მოდასავით ბრუნავს პრობლემები და ხშირად აღმოაჩენ, რომ მაშინაც იტბორებოდა სამტრედიის ცენტრი, მაშინაც საუბრობდნენ პრესის თავისუფლებაზე, მაშინაც არაერთი ისეთი სოციალური პრობლემა ყოფილა, დღეს რომ ასე ახლობელია.ზოგიერთ წერილზე ახლა გეღიმება მხოლოდ. საოცარი კი ის არის, რომ ამ სიძველის სურნელში, ძალიან, ძალიან გენატრება ბევრი რამ.

ამ ფურცლებზე ადვილად არ იწერებოდა და არ იწერება! წელს 85 წლისა გახდება "სამტრედიის მაცნე"! კულტურულია ქალაქი, სადაც გაზეთი გამოდისო _ 80 წლის იუბილეზე ასე მოგვეფერნენ. ჩვენ კი ამ სიტყვების უკან დიდი პასუხისმგებლობა დავინახეთ. ამ გაყვითლებული ფურცლების გადმოსახედიდან ჩვენი ქალაქის, რაიონის ცხოვრების ფრაგმენტებს გთავაზობთ, რუდუნებითა და სიყვარულით რომ იტევს და ინახავს "სამტრედიის მაცნე".



პირუტყვს უმოწყალოდ ხედნიან
(საქონლის მომვლელის წერილი)

საქ. კ. პ. (ბ) სამტრედიის რაიკომის ბიუროს დადგენილება

ოჭოფა-გვიმრალას კოლმეურნეობაში ხუთი ხარი გერად მიიჩნიეს

ვლ. კოპალეიშვილი.

ქალაქის ამბულატორია ჭუჭყში და უსუფთაობაშია

# ჟურნალისტები და არა მარტო...

ლევან გაბეჩავა



პროფესიულ დღეს აღნიშნავენ 21 მარტს ქართველი ჟურნალისტები. რამდენადმე დავარღვევთ ოფიციალური ფრაზებით საუბარს და რაიონში, კერძოდ, საკრებულოს საინფორმაციო ცენტრსა და ტელერადიოპრესკომპანია "ზარში" დასაქმებულ იმ ქალბატონების გატაცებაზე მოგითხრობთ, ჰობად რომ გაუხდიათ და მრავალთა ყურადღებაც მიიქციეს.

სალომე მიქელთაძე მუნიციპალიტეტის საკრებულოს საინფორმაციო ცენტრის ჟურნალისტია. მეუღლე და 5 წლის მარიამი ულამაზებენ ჩვენს კოლეგას ცხოვრების მშვენიერ წლებს.



ფრჩხილების მოხატვის ხელოვნებით "Nail Art" იგი მეშვიდე წელია დაინტერესდა და პოპულარობამაც იმატა. იუარა, მის გატაცებაზე დაგვეწერა, თუმცა, კოლეგიალობამ იმძლავრა და... სალომე კარგად ფლობს რუსულ და ინგლისურ ენებს, ინტერნეტული ჟურნალისტიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებული რეგიონალური განვითარების რესურსცენტრის ტრენერიცაა.

ფრჩხილების მოხატვის ხელოვნება საზღვარგარეთ ერთობ პოპულარობით სარგებლობს, საქართველოში კი ამჟამად იკიდებს ფეხს, ამდენად, თანდათან ბევრი ახალგაზრდაც ინტერესდება ამ კუთხით. ვისაც სალომეს მიერ მოხატული ფრჩხილები არ უნახავს, ძნელია, წარმოიდგინოს მათი სილამაზე და ორიგინალურობა.

– ყველაფერი ვიდეორგოლების მეშვეობით ვისწავლე, ჩემეული ფანტაზიაც მივაშველე და, როგორც ამბობენ, რაღაც გამომდის, მინდა, გულისტკივილით ვთქვა, რომ საზღვარგარეთ ფრჩხილების მოხატვის ხელოვნება ერთობ პოპულარულია, ამისათვის იქ სპეციალური ხელსაწყოებიც კი არსებობს. საქართველოში კი... პირადად მე კუსტარულად დამზადებული ხელსაწყოებით ვმუშაობ. ჩემი ჰობია ფრჩხილების მოხატვა. ოჯახიდან, სამსახურიდან თავისუფალ დროს ამით ვკავდები და დიდ სიამოვნებას მანიჭებს საყვარელი საქმე. მინდა, პროფესიული დღე მივულოცო ქართველ ჟურნალისტებს, სამტრედიაში მოღვაწე კოლეგებს და წარმატებები ვუსურვო მათ. – გვეუბნება სალომე.

ვიდრე ფრჩხილების მოხატვის ხელოვნება საქართველოში, სამტრედიაში კიდევ უფრო პოპულარული გახდება, ნათქვამის სიცხადისათვის ფოტოებს გთავაზობთ.

ტელეკომპანია "ზარის" საინფორმაციო პროგრამა "დროების" მეშვეობით მისი ხმა სამშაბათობითა და პარასკევობით ყველა სამტრედიელის ოჯახში ისმის. შორენა ნიკოლეიშვილი ჩვენი გაზეთის დიდი ხნის ერთგული მეგობრის, იორამ ნიკოლეიშვილის ქალიშვილი და, რაღა თქმა უნდა, ჩვენი კოლეგაა.



ხალხური რეწვის ხელოვნებას, ჭრა-კერვას საქართველოში დიდი ტრადიციები აქვს. შორენა სწორედ ამ საქმითაა გატაცებული, ისე, როგორც მისი ბებია, დეიდა, მამიდა... ასე, რომ დიზაინერობა უცხო არაა მისი სანათესაოსათვის და ისიც ფანტაზიას არ იშურებს რათა შექმნას ლამაზი ნივთები.

– სტუდენტობისას, როცა ქვეყანაში საყოველთაო გასაჭირი იყო, ბებიის კაბებს ვაახლებდი და მათგან საჩემო სამოსს ვკერავდი. საკმაოდ ორიგინალური ნამუშევრები გამომდიოდა. – მოკრძალებით გვიყვება შორენა.



შორენას ნამუშევრებით ბევრი მოხიბლულია, ჩემი არაერთი გამოუსადეგარი ნივთისთვის მას ახალი "სიცოცხლე მიუნიჭებია". – გვეუბნება ჩვენი კოლეგა ნათია ნაცვლიშვილი.

გაახლებული კაბები, სხვადასხვა აქსესუარები უხვადაა ჟურნალისტი, ხელმარჯვე ქალბატონის კოლექციაში. შორენა ამ დღეებში იუბილარია, ვსარგებლობთ შემთხვევით და დაბადების დღეს ვულოცავთ მას.



ახლანდელ დროზე რა მოგახსენოთ, მაგრამ წინათ საქართველოში ქალი ხელსაქმით ფასდებოდა. თუკი დიდედები ყაისნაღით კვლავ ქსოვენ, ფშავ-ხევსურეთში კვლავ ქარგავენ ნაირფერ ფარდაგებს, ჩვენი კოლეგები, სალომე და შორენა ყურადღებას მათი ფანტაზიითა და ხელმარჯვეობით იპყრობენ.

პროფესიულ დღეს, გილოცავთ კოლეგებო!

# 27 მარტი თეატრის საერთაშორისო დღეა!

## წავიდეთ თეატრში

ლევან გაბეჩავა

ძველ საბერძნეთში დაირწა კლასიკური თეატრალური ხელოვნების აკვანი. ძველმა ბერძნებმა შეჰქმნეს დრამის ძირითადი ჟანრები – ტრაგედია და კომედია. ტრაგედიის მამა – ესქილე, სოფოკლე და ევრიპიდე, კომედიოგრაფი არისტოტელე იდგნენ ბერძნული კლასიკური დრამატურგიის სათავეებთან.

რაც შეეხება საქართველოს, აქ პროფესიული თეატრი გიორგი ერისთავის თაოსნობით 1850 წელს დაარსდა, თუმცა, გაცილებით ადრე, კერძოდ, მე-6 საუკუნის დასაწყისში ქართველ წარჩინებულთ ტრადიციად ჰქონდათ, მოეწვიათ მაშრიბნი და მუტრიბნი, რათა ემღერათ "სიამოვნებისა და წარმავალი განცხრომის" მოსაგვრელად. მგოსან ვაჟთა და ქალთა დასების მიწვევა დიდებულთა კარზე კიდევ უფრო ადრე, მე-5 საუკუნეშიაც ყოფილა საქართველოში დამკვიდრებული. ამის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის იოანე რეფუსის "პეტრე იბერიელის ცხოვრება".



დიდი ხანია, არავინ დავობს იმ ელემენტარულ ჭეშმარიტებაზე, რომ მსოფლიო კულტურის საგანძურში მნიშვნელოვანი და ღირსეული ადგილი უჭირავს ქართულ ეროვნულ კულტურას.

თავისთავად, როგორც საქართველოში, ისე, საზოგადოდ, ნებისმიერი ერის ცხოვრებაში დიდია თეატრის როლი და მნიშვნელობა.

კანონიერად ამაყობს საქართველო, ქართველი ერი თეატრისა და კინოს თვალსაჩინო მოღვაწეებით. მათ შორის უნდა დავასახელოთ: ელისაბედ ჩერქეზიშვილი, ვერიკო ანჯაფარიძე, სესილია თაყაიშვილი, ზინაიდა კვერენჩხილაძე, მედეა ჯაფარიძე... აკაკი ხორავა, აკაკი ვასაძე, უშანგი ჩხეიძე, ეროსი მანჯგალაძე, ოთარ მეღვინეთუხუცესი, გურამ საღარაძე... ამ ადამიანებს არც აღიარება ჰკლებიათ და არც სიყვარული ქართველი და უცხოელი მაყურებლისა და საზოგადოებისაგან. გვეამაყება საქართველოს სახალხო არტისტების, ეროსი მანჯგალაძისა და ჯემალ ღაღანიძის სამტრედიელობა.

ბატონები დავით ტაბიძე, დავით სტურუა, არქიფო სიგუა, ბიჭიკო ტორონჯაძე, ტარიელ ხაჟალია, ოთარ შანიძე, ალექსანდრე ერქვანიძე... მათ შორის იყვნენ, ღირსეული წვლილი რომ შეიტანეს, ამაგი დასდეს თეატრალური ხელოვნების განვითარებას სამტრედიაში. ღირსეულად აგრძელებს მათ მიერ გაკვალულ გზას ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრთან არსებული თეატრალური დასი, რომელთა შორისაც უხუცესი გახლავთ მსახიობი, ქალბატონი მზია ჩიხლაძე, 60-ზე მეტი როლი აქვს მას განსახიერებული. 15 მაისს 80 წლისა ხდება ქალბატონი მზია. ვიმედოვნებთ, ეს თარიღი საზეიმოდ აღინიშნება, რაც გზაღვაწლიანი მსახიობის მრავალწლიანი სასცენო მოღვაწეობის ჯეროვანი დაფასება იქნება.

მსახიობების სცენისმიღმა სამყარო, მათი ყოველდღიურობა იყო და რჩება მაყურებელთა ცხოველი ინტერესის საგანი. ვინც "სამტრედიის მაცნეს" კითხულობს, განსაკუთრებით ბოლო ხანებში, დაგვერწმუნება, რომ ამ ინტერესს პროფესიულ დონეზე მომზადებული წერილებით, დიახაც რომ, აკმაყოფილებს თეატრის მომავალი კრიტიკოსი, გაზეთის მხატვარ-კარიკატურისტი შოთიკო პაპავა. სიცოცხლეშივე ლეგენდად ქცეული მსახიობების: თამარ სხირტლაძის, ნინო ჩხეიძის, ლეილა აბაშიძის, ჯემალ ღაღანიძის, ნიკა წულუკიძის ხშირი, სასურველი სტუმარი და უმცროსი მეგობარი, მათი იუბილეები ხომ წარმოუდგენელია საპატიო სტუმართა შორის მათივე გულთბილი მიწვევით მისული შოთიკოს გარეშე, უფრო მეტიც, დროს გასწრებული ახალგაზრდის ნააზრევს სიამოვნებით უთმობს გვერდებს საუკუნეზე უხნესი ჟურნალი "თეატრი და ცხოვრება", სხვა ცენტრალური ჟურნალ-გაზეთები, არაფერს ვამბობთ ქართველი პოეტების, მეცნიერებისა და შოთიკოს ზღვარდაცულ ურთიერთობებზე. ეს ამჯერად, მომავალში კი, მომავალში უფრო ვრცლად და ხშირად მოგვიწევს შოთა პაპავაზე, როგორც თეატრის პროფესიონალ კრიტიკოსზე წერა და საუბარი.

27 მარტს მსოფლიო თეატრის საერთაშორისო დღეს აღნიშავს.

მაშ ასე, წავიდეთ თეატრში და ვეზიაროთ მშვენიერებას!

***ფოტოზე, რომელიც მსახიობ მზია ჩიხლაძის არქივიდანაა, გამოსახულნი არიან სამტრედიელი მსახიობები, რეჟისორები, ოთარ შანიძის პიესის, "ცხოვრების გზაზე" განხილვის შემდეგ.***

## გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქციას!

გულით გილოცავთ პროფესიულ დღესასწაულს – ქართული ჟურნალისტიკის დღეს. გისურვებთ დიდ წარმატებებს როგორც პირად ცხოვრებაში, ასევე თქვენს პროფესიულ საქმიანობაში!

"სიმართლისათვის ბრძოლაში
არ გაგცვეთოდეთ კალამი,
ქვეყნად სიმართლის აღდგენა,
ახლა ეს არის მთავარი".

პატივისცემით ანტონ გეგეშიძე

# საინტერესო შეხვედრები კულაშის საჯარო სკოლაში

**ნათია ნაცვლიშვილი**

ორგანიზაცია PH internationale ახორციელებს პროგრამას "მომავლის თაობა", რომელიც ფინანსდება აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID)-ის მიერ. პროგრამას იმერეთში ახორციელებს ქუთაისის განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრი. პროგრამასთან თანამშრომლობს კულაშის მკურნალის სახელობის საჯარო სკოლა. სკოლის დირექტორის, ნუგზარ კვანტალიანის პროექტმა "თავისუფალი დროის რაციონალურად გამოყენება" გაიმარჯვა სხვა პროექტებს შორის, მოიპოვა გრანტი და სკოლას ამ დაფინანსების ფარგლებში გადაეცა ფოტოაპარატი. პროექტის წარმომადგენელი თეა შელია, სკოლაში გამართულ შეხვედრასაც დაესწრო.

პროექტის "თავისუფალი დროის რაციონალურად გამოყენება" (პროექტს თავად სკოლის დირექტორი ხელმძღვანელობს, ხელმძღვანელის მოადგილეა სამოქალაქო განათლების პედაგოგი ნინო არველაძე და ასისტენტი ნათია ნაჭყებია) ფარგლებში მოეწყო შეხვედრა მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთან, კულაშის მაჟორიტარ დეპუტატთან, იმედა გოგავასთან. მიწვეული ტრენერი "სამტრედიის მაცნეს" ჟურნალისტი ნათია ნაცვლიშვილი კი სკოლის სამოქალაქო კლუბელებს ესაუბრა მას-მედიის როლსა და დანიშნულებაზე, ქართული მედიასივრცის თავისუფლების ხარისხზე, ტელევიზიის, პრესის და სოციალური მედიის, ფუნქციებსა და შესაძლებლობებზე. განსაკუთრებულად კი ხაზი გაუსვა იმას, რომ პრესის როლის დაკნინება არ ღირს ტელე მედიის განუსაზღვრელი შესაძლებლობების ფონზე.

პრესის საკითხებზე ახალგაზრდებთან მსჯელობა გამართა იმედა გოგავამ, გაზეთის "მზერა" ყოფილმა რედაქტორმა და ახალგაზრდებს მაგალითი ამერიკული პრესიდან მოუყვანა:

"ამერიკელებმა გადაწყვიტეს სპეცოპერაციის ჩატარება, სურდათ, კუბის რევოლუციის ლიდერი, კუბის ხელმძღვანელი ფიდელ კასტრო მოეკლათ, ჩამოეშორებინათ ხელისუფლებას. ამ საიდუმლო სპეცოპერაციის შესახებ გაიგო "ნიუ-იორკ ტაიმსის" ერთ-ერთმა ჟურნალისტმა, უკვე გაჟონა ინფორმაციამ. როგორ ფიქრობთ ეს საიდუმლო ინფორმაცია უნდა გამოექვეყნებინა ჟურნალისტს გაზეთში თუ არა? მიმართა დეპუტატმა დარბაზს. პასუხიც დადებითი მიიღო. ჟურნალისტის მოვალეობა იყო, ამ ინფორმაციის გამოქვეყნება, მაგრამ სახელმწიფო ინტერესი მის საიდუმლოდ დარჩენას ითხოვდა. რა თქმა უნდა, ჟურნალისტმა ეს ინფორმაცია გამოაქვეყნა და ის საიდუმლო ოპერაცია ჩავარდა, ანუ იმის თქმა მინდა, ჟურნალისტის პირდაპირი მოვალეობაა, მოსახლეობას, მოქალაქეებს ამცნოს ინფორმაცია. ჟურნალისტიკის შესაძლებლობები უსაზღვროა, როგორებიც ჟურნალისტები არიან, ისეთივეა თითქმის საზოგადოებაც." _ აღნიშნა დეპუტატმა და ახალგაზრდებს სწავლისაკენ და შრომისაკენ მოუწოდა.

"იოლი გზით ვერაფერს მიაღწევთ ამ ქვეყანაზე, ყველაფერს სჭირდება შრომა, შრომა კი კიდევ ერთხელ შრომა. ვერც ჟურნალისტი, ვერც პოლიტიკოსი და ვერც სანტექნიკოსი ვერ გამოხვალთ, ბევრი თუ არ იშრომეთ, როგორც ჩემს თანასოფლელებს, მეგობრებს, მეზობლის შვილებს, გთხოვთ, არც ერთი წამი უქმად არ დაჰკარგოთ, კარგი იქნება თუ დაუჯერებთ თქვენს პედაგოგებს, რომელთაც ბევრი თაობა აღზარდეს, მათ აქვთ უზარმაზარი გამოცდილება". _ მიმართა იმედა გოგავამ მოსწავლეებს.

მისივე ინიციატივით მოეწყო სკოლაში ჰანა პოლასკისა და ანჟეი ცენიაკის ფილმის "სადგურ ლენინგრადსკის ბავშვები" ჩვენება. ფილმის ჩვენების შემდეგ მსჯელობა ფილმთან დაკავშირებით მოსწავლეებთან გამართა მუნიციპალიტეტის საკრებულოს საინფორმაციო ცენტრის ჟურნალისტმა, რეგიონული განვითარების რესურსცენტრის ტრენერმა სალომე მიქელთაძემ. ფილმის ჩვენებაში ასევე მონაწილეობდა საინფორმაციო ცენტრის კომპიუტერის ტრენერი თამარ ადეიშვილი.

განსაკუთრებით მძიმე ემოციები აღძრა ფილმმა როგორც უფროსი თაობის წარმომადგენლებში, ისე მოსწავლეებში. პროსტიტუციისათვის განწირულნი, ნაგავსაყრელებზე ვაგზლის სადგურებში წებოს ყნოსვით დაკავებული პატარები, მაწანწალები, ხშირად საზოგადოების გულგრილობის მსხვერპლნი, მეოცნებენი დედაზე და ნორმალურ თავშესაფარზე, "თითქმის მთელი ქალაქი ცარიელია დედის გარეშე" _ ესაა ფრაზა _ მესიჯი ამ ფილმიდან, რომლის უამრავი პერსონაჟი _ მაწანწალის ბოლო სიკვდილია, უკეთეს შემთხვევაში _ კეთროვნად ქცევა 9-10 წლის ასაკში. ასეთი შოკისმომგვრელი ისტორიების მოსმენამ და ხილვამ თვალზე ცრემლი ბევრს მოჰგვარა.

სკოლის სამოქალაქო კლუბის სახელწოდებაა "მომავლის ხმა" მისი ლიდერი გიორგი კიკაჩეიშვილი, კოორდინატორი კი, სალომე კვანტალიანი, ისინი და ხატია ქაჯაია განსაკუთრებულად აქტიურობდნენ, მსჯელობაში მათთან ერთად თითქმის ყველა მოსწავლე ჩაერთო.

"მადლობა ღმერთს, რომ ასეთი მაწანწალა ბავშვები არ მინახავს ჩემს ქვეყანაში, არც თბილისში და არც სამტრედიაში. თუმცა, იმას არ ვიტყვი, რომ ყველას დალხინებული ცხოვრება აქვს. ბავშვებო, ძალიან გაგიმართლათ, რომ 21-ე საუკუნეში ასეთი მაწანწალები არ გყავთ და არა გაქვთ ასეთი მძიმე ცხოვრება. ეს მონაპოვარი არის ჩვენი, ჩვენი წინაპრების და ამას ყოველდღიური გაფრთხილება სჭირდება. როგორც ჯეფერსონი ამბობს, თავისუფლება არ არის გარანტია, თავისუფლება არის მონაპოვარი და მას გაფრთხილება სჭირდება, გაუფრთხილდით ყოველივე იმას, რაც თქვენ გაქვთ. უსაშინლესი ფილმი იყო, დამძიმებული ვარ. _ მიმართა შეხვედრის ბოლოს მოსწავლეებს ნუგზარ კვანტალიანმა. პედაგოგმა ნინო არველაძემ კი ოჯახის როლის გაძლიერებას გაუსვა ხაზი.

შემდეგ ნუგზარ კვანტალიანმა გვითხრა: "ჩვენი სამოქალაქო კლუბის ლიდერი, გიორგი კიკაჩეიშვლი რამდენიმე შეხვედრაზე იმყოფებოდა ქუთაისში, ვაგრძელებთ მუშაობას, მაისის ბოლომდე კიდევ გვექნება რამდენიმე შეხვედრა იმ პერიოდულ გამოცემასთან, რომელსაც თქვენ წარმოადგენთ, შემდეგ ტელეკომპანია "ზარში", იმედია თქვენი მხარდაჭერაც იქნება და ჩვენც ვეცდებით, რათა მათ მეტი მივცეთ. ულრმესი მადლობა თქვენ დღევანდელი დღისათვის. აქვე გთხოვთ ჩვენი მოსწავლეების საუკეთესო ნამუშევრები დაბეჭდოთ თქვენს გაზეთში.

მაჟორიტარი დეპუტატი იმედა გოგავა მოსწავლეებს ასევე დაჰპირდა, რომ უახლეს ხანში მათ აუსრულებს სურვილს და სკოლას სტუმრად ეწვევა მწერალი დათო ტურაშვილი. იმედა გოგავა მშობლიურ სკოლაში ერთი ოთახის საკუთარი ხარჯით გარემონტებასაც გეგმავს.







## საქველმოქმედო აქცია მე-10 სკოლაში

მე-10 საჯარო სკოლაში საქველმოქმედო აქცია მოეწყო. "თანადგომა" _ ასეთი სახელწოდებისა იყო აქცია, რომელიც მე-7 და მე-8 კლასების მოსწავლეების, მშობლებისა და კლასის ხელმძღვანელების (თეა ყენია და ეკატერინე ფოცხვერია) ინიციატივითა და თანამშრომლობით მოეწყო. როგორც სკოლის სამოქალაქო განათლების პედაგოგმა და აქციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, ეკატერინე ფოცხვერიამ გვითხრა, აქციის მიზანს წარმოადგენდა მშობელთა ჩართულობის გაზრდა სასკოლო ცხოვრებაში, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს მოსწავლეთა პასუხისმგებლობისა და მოტივაციის ამაღლებას.



შესვენებაზე მოეწყო მშობელთა მიერ მომზადებული ნამცხვრების გაყიდვა. ამ აქციის შესახებ წინასწარ იყვნენ ინფორმირებულნი მოსწავლეები, მშობლები, მასწავლებლები. მანდატურები აქტიურად ჩაერთვნენ აქციაში, მათაც შეიძინეს ნამცხვრების ნაჭრები. აქციის ყველა მონაწილე გამოთქვამდა კმაყოფილებას, რომ მათ მიერ გაღებული თანხა გადაეცემოდა სსმ მოსწავლეს, რომელიც ამავე სკოლის მე-9 კლასში სწავლობს.



სკოლის დირექტორმა, მაყვალა თევზაძემ და დირექტორის მოადგილე ნანა ნიკოლეიშვილმა მადლობა გადაუხადეს აქციის მონაწილეებს, მე-7 და მე-8 კლასების ხელმძღვანელებმა შეაქეს თითოეული მშობლის გულისხმიერი დამოკიდებულება ღონისძიებისადმი. განსაკუთრებული მადლობა გადაუხადეს აქციის პროცესში ჩართულ მშობლებს: ირინე ადეიშვილს, ეკა ბაღათურიას, ხათუნა ჯიბაშვილს, სოფიო ლეჟავას, ნათია ორმოცაძეს, მაკა დუნდუას, შორენა ნიკოლეიშვილს.

შემოსული თანხა სსმ მოსწავლეს და მის მშობელს პირადად გადასცა სკოლის პედაგოგმა დალი ღამბაშიძემ.

***ნათია ნაცვლიშვილი***

## გაზაფხულის ერთ ლამაზ დღეს...

ტოლების საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლეთა მონაწილეობით 8 მარტს ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი საღამო ჩატარდა. ღონისძიების ხელმძღვანელი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი მარინა ხუჭუაა.

როგორც ვიცით, დედაშვილობა მიგნებულად გამოხატავს ქართველი ხალხის მიერ უძველესი დროიდან შემუშავებულ და საუკუნეების განმავლობაში გამოტარებულ თვალსაზრისს, დედის მაღალი სულიერი ღირსებისა და მოქალაქეობრივი დანიშნულების შესახებ, ყველაზე დიდი საფიცარია ქართველისათვის. სულმნათი აკაკის სიტყვებია: "დედაშვილობამ ბევრს არ გთხოვ, შენს მიწას მიმაბარეო!" დედობა, პირველ რიგში, მადლია. ბავშვის აღზრდა ხომ დიდ ნებისყოფას მოითხოვს. დედა ყველაზე ახლოს არის ჩვენთან, მისი ლამპარი გვინათებს გზას მთელი ცხოვრების მანძილზე. დედა სიცოცხლის საწყისია, ჩვენი ცხოვრების ძლიერი ბურჯია. მხოლოდ მას შეუძლია თავისი შვილისათვის "ხელის გულზე ერბო-კვერცხის შეწვა".

ჩვენი დიდი სურვილი იყო, გაზაფხულის ეს ყველაზე ნაზი და დახვეწილი დღესასწაული დაგვემუხტა დადებითი ემოციებით, სურვილებით და ყველა ქალისთვის სიხარული მიგვენიჭებინა. გაზაფხულის დადგომასთან ერთად ბუნება განახლებას იწყებს, სათუთი გრძნობები მზის სხივებთან ერთად იღვიძებს. ამიტომაც, სცენაზე მრავალი თბილი და ტკბილი სიტყვა ითქვა ზოგადად ქალზე, დედაზე, ჩვენ ხომ ყოველთვის ვერ ვახერხებთ ამ დიდი სიყვარულის გამჟღავნებას. იმ დღეს ეს სრულყოფილად შევძელით... სწორედ ამის გამო უნდა ვიყოთ ამაყნი, ძლიერნი და უფლის რწმენით სავსე. ვიმედოვნებთ, რომ თითოეული ჩვენგანის ცხოვრება გაუმჯობესდება, პრობლემები მოგვარდება, ტკივილები გაყუჩდება და ყველა ქალი ბედნიერი იქნება. ამგვარი გრძნობებით გარემოცულნი შესანიშნავი ლექსებით და სიმღერებით სცენაზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ მოსწავლეები: თ. დიდია, რ. ძიგუა, ნ. ყაჭეიშვილი, თ. ლორია, მ. ჯინჭველეიშვილი, გ. რუხაძე, გ. სხვიტარიძე, ნ. ჯინჭველეიშვილი. ღონისძიების კონცერტმეისტერი ნ. კეშელავა იყო.

ყველა ქალს და დედას გილოცავთ ამ ლამაზ დღეს!

***ტოლების საჯარო სკოლის მე-11 კლასელები***



# "პლეადა" _ ინტელექტდევების ღირსეული კონკურენტი

ნათია ნაცვლიშვილი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის ინტელექტუალთა ნაკრები გუნდი "პლეადა" სულ ახლახან წარმატებული დაბრუნდა ბაკურიანიდან, სადაც ინტელექტუალური თამაშების მეორე ფესტივალში მიიღო მონაწილეობა.

ამ ფესტივალმა თავი მოუყარა საქართველოს ინტელექტუალ მოთამაშეთა აბსოლუტურ უმრავლესობას და ყველა უძლიერეს გუნდს. მათთან ერთად წარმოდგენილნი იყვნენ ბათუმის გუნდი და ქუთაისის 3 გუნდი. სხვა მუნიციპალიტეტიდან არცერთი ინტელექტუალთა გუნდი არ ყოფილა. სამტრედიელთა გუნდმა კი ამ ჩემპიონატში მონაწილეობის პატივი მის მიერ განვლილი გზით, დამსახურებითა და ავტორიტეტით მოიპოვა. გუნდურ თამაშებში "პლეადას" ღირსებას იცავდნენ გუნდის კაპიტანი გიორგი ჩაჩუა, ლაშა ლორია, ზაზა ადეიშვილი, ლაშა ორმოცაძე, შალვა წულაია, ვანო ვაშაკიძე და ლიკა კახაძე. სამტრედიელთა გუნდმა ღირსეული კონკურენცია გაუწია ქვეყნის უძლიერესი ინტელექტუალებით დაკომპლექტებულ გუნდებს და გულშემატკივართა სიმპათია და ფესტივალის წამყვანის _ გიორგი მოსიძის მრავალი კომპლიმენტი დაიმსახურა.

ინტელექტუალურ ჭიდილში გაიმარჯვა ბაჩანა შენგელიას ტიტულოვანმა გუნდმა. განსაკუთრებით აღსანიშნავია სამტრედიელთა გუნდის სტაჟიანი წევრის, ზაზა ადეიშვილის წარმატება პირად ჩემპიონატში (ე. წ. "ჯეპარდში"). როგორც ბატონი ზაზა ამბობს, მან ჯეპარდი პირველად ითამაშა და პირველივე ცდა ძალიან წარმატებული აღმოჩნდა. მან ფესტივალში მონაწილე 180 ინტელექტუალს შორის გიორგი ჭუმბურიძისა და რატი შუბლაძის კვალდაკვალ საპატიო მესამე საპრიზო ადგილი მოიპოვა და უკან მოიტოვა არაერთი აღიარებული ფავორიტი. მათ შორის, საქართველოს ინტელექტკლუბის "რა? სად? როდის?" პრეზიდენტი გიორგი მოსიძე და "ბროლის ბუს" მფლობელი ცნობილი ინტელექტუალები: ოთარ საბაშვილი, ზურაბ ფარჯიანი, გაგი გაბრიჩიძე, დავით ლომინაძე, ირაკლი ნაზღაიძე, სოსო ბერიკაშვილი და სხვები.

საორგანიზაციო კომიტეტმა გამარჯვებული ზაზა ადეიშვილი თასით, სიგელითა და წიგნების სასაჩუქრე ნაკრებით დააჯილდოვა.

ჩემპიონატიდან დაბრუნებულ ზაზა ადეიშვილს რამდენიმე შეკითხვით მივმართეთ:

## 180 ინტელექტუალს შორის ზაზა ადეიშვილი საპატიო მესამე საპრიზო ადგილის მფლობელია

**_ რით დაიმსახურა "პლეადამ" _ მუნიციპალურმა გუნდმა მიწვევის განსაკუთრებული პატივი?**

_ იქ წარმოდგენილი იყო ქართული ინტელექტსივრცის ელიტა, მუნიციპალიტეტებიდან სამტრედიამ გაბედა ამ ჩემპიონატში მონაწილეობა. მარტო გაბედვაც არ კმაროდა. ჩვენ გიორგი მოსიძის განსაკუთრებული მიწვევაც გვქონდა, რამდენიმე წელია ვთამაშობთ სხვადასხვა თამაშებში, ფესტივალებში. წარმოდგენილი იყო 30 გუნდი, 1 ბათუმის, 3 _ ქუთაისის და დანარჩენი _ "მონსტრების კორპორაციები". თავიანთი გუნდებით იყვნენ ბაჩანა შენგელია, გაგა გაბრიჩიძე, ზურაბ ფარჯიანი, ბესიკ ბუთურიშვილი... ბაჩანა შენგელიას გუნდზე და ოთარ საბაშვილის ექვსეულზე არ შეჩერებულა გიორგი მოსიძე გუნდების წარდგენისას იმდენ ხანს, რამდენიც სამტრედიელებს დაგვითმო, იმდენი სითბო და სიმპათია გამოხატა ჩვენს მიმართ. ეს ალბათ ავანსი უფრო იყო და გავამართლეთ კიდეც.



**_ ამჟამად "პლეადა" გარკვეულ როტაციის პრინციპს ეფუძნება. ახალგაზრდებით გაძლიერდა გუნდი, ჩვენს საუბარს არ ესწრება კაპიტანი გიორგი ჩაჩუა, მაგრამ თქვენც შეგიძლიათ გვითხრათ, რა პრინციპით დააკომპლექტეთ იქ წარსადგენად გუნდი?**

_ ამ ჩვენს მიღწევებში ლომის წვლილი გიორგი ჩაჩუას მიუძღვის. ჩვენი გუნდი 7-8 წელია გარკვეული შემადგენლობით ვიკრიბებით. გუნდი ამჟამად თაობათა ცვლის პროცესშია. ყველაზე სტაჟიანი ვარ, დროა, ბუცები დავკიდო. ნამდვილად ვაპირებ, ვიყო გულშემატკივარი (მენტორი ხმამაღალი სიტყვაა) და გზა ახალგაზრდებს დავუთმო. ამ აზრზე აქ, სამტრედიაში ჩატარებულმა ჩემპიონატმა დამაყენა, როცა დიდი ჯიხაიშისა და მე-7 სკოლების გუნდებმა მაღალი შედეგი აჩვენეს. ახლაც ბაკურიანში სათამაშო მაგიდასთან მოსწავლეები ვანო ვაშაკიძე, ლიკა კახაძე და სტუდენტი შალვა წულაია ისხდნენ. სხვათა შორის, ძალიან იმედიანად ვუყურებ ჩვენი კლუბის პერსპექტივებს უჩემოდ.

**_ გუნდში თამაშის ასაკი შემოსაზღვრულია?**

_ ფეხბურთის და სხვა სპორტის სახეობათა გუნდების მოთამაშეთათვის არავის შემოუსაზღვრავს ასაკი. მაგრამ იქ ფიზიოლოგიური თუ სხვა მიზანშეწონილობები დგება. მართლა ზედმეტად კი არ ვთავმდაბლობ.

**_ კარგა ხანია ამბობენ, რომ ქართული პოლიტიკის დეფიციტი ინტელექტუალთა ნაკლებობაა. თქვენი გადმოსახედიდან მართლაც დგას თუ არა ეს პრობლემა დღევანდელ ქართულ პოლიტიკაში როგორც ცენტრალურ, ისე რეგიონალურ დონეებზე? რომ არა ეს დეფიციტი, უფრო ჯანსაღი იქნება თუ არა პოლიტიკური პროცესები და ნაკლები უკმაყოფილო ეყოლებოდა თუ არა მაღალ ეშელონებში მყოფ პირებს?**

_ დავიწყებთ იმით, რომ მაქვს ინფორმაცია, ჩვენი პრემიერის გადაწყვეტილებაა, მოიზიდონ ინტელექტუალები "რა? სად? როდის?" კლუბის წევრებიდან სხვადასხვა სახელისუფლებო დონეზე და გამოყენებული იქნას ეს პოტენციალი. ეს გუნდი, არმია, კრებული, ეს ადამიანები ინტელექტმოთამაშეები კი არ არიან, ესენი არიან ნათელი გონებები. 30 გუნდი თამაშობდა და ვამბობდით, საქართველოს ცოცხალი გონების ლამის ნახევარია-თქო შეკრებილი.



**_ აი, ასეთი ხალხის საკრებულო ერთ კუთხეშია მიყუჟული და პოლიტიკურ სარბიელზე გვყავდა პერსონა, რომელსაც ალ-ქაიდა პიროვნება ეგონა.**

_ არ ვიცი, ახლა, არა მაქვს ხელსაწყო, ინტელექტმეტრი ან რამე, გავუზომო ვინმეს ერუდიციის ან ინტელექტის დონე. უბრალოდ, ამ ხალხის მოზიდვა და დიდ გამოწვევებზე შეჭიდება და მიშვება ღირს და საშური საქმეცაა. ამ წუთში საკანონმდებლო თუ აღმასრულებელ ხელისუფლებაში თუ საექსპერტო საქმიანობით ბევრი ინტელექტუალია დასაქმებული, მაგრამ ვისურვებდი, მეტი იყვნენ შედეგიც არ დააყოვნებს. გიორგი ბაქრაძე იმიტომაც ვერ დაესწრო ამ ფესტივალს, რომ იმ დოზით არის დატვირთული ამ სახელმწიფო საქმეებით, იგივე ეკონომიკური საკითხებით, ლარის კურსის სტაბილიზაციის საკითხებით, ფიზიკურად ვერ მოასწრო ჩამორბენა.

**_ რა წიგნებით დასაჩუქრდით?**

_ უახლოესი საზღვარგარეთული ლიტერატურით, რეი ბრედბერის თარგმანებით. დაბოლოს, სამტრედიის "რა? სად? როდის?" კლუბისა და გუნდის "პლეადა" სახელით მადლობა მინდა ვუთხრა სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობას, გამგებელს, ბატონ ვალერიანე ფოცხვერიას და მუნიციპალიტეტის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსს, ქალბატონ ნატალია მანჯგალაძეს მხარდაჭერისა და თანადგომისათვის.

## იებივით სათნო მოხუცები

ტრადიციად იქცა, რომ სამტრედიელი მოსწავლე-ახალგაზრდები ხშირად სტუმრობენ სათნოების სახლს და მის მობინადრეებს მარტოობით მოგვრილ ტკივილს უქარწყლებენ.

№12 საჯარო სკოლის (დირექტორი ხათუნა თელია) IV კლასელები დილიდანვე ემზადებოდნენ მოხუცებთან მისასვლელად. ნაწილი საგანგებოდ შერჩეულ ლექსს იმეორებდა, ზოგი კი _ ბებია-ბაბუებთან მისატანი, ზაფხულის არომატით გაჟღენთილი ნობათის შეგროვებით იყო გართული.



ბავშვის უმანკო გული ყველაზე მგრძნობიარედ განიცდის მის გარშემო მომხდარ მოვლენებს. პატარებს უმძიმთ საწოლს მიჯაჭვული, მხცოვანი ქალბატონების ხილვა, თუმცა, მათი ყმაწვილური ჟინი ყველაფრის დაძლევის საშუალებას იძლევა და მოხუცებიც ხარობენ ხმაანკარად მოჭიკჭიკე გოგო-ბიჭების ნახვით.

2015 წლის 12 მარტს, დამრიგებელ ნატალია ადეიშვილის თაოსნობით ხელდამშვენებული მოსწავლეები შემოეჯარნენ სათნოების სახლს. მათ იცოდნენ, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იყო ეს დღე მასპინძლებისთვის და ყველანაირად ცდილობდნენ, საუკეთესონი ყოფილიყვნენ.

იის სურნელი დატრიალდა თეთრ კედლებში. იყო სიხარულის ცრემლი და საუბარს მონატრებული მობინადრეების გულთბილი დალოცვა.

პატარებმა ყველა მანდილოსანს მიულოცეს დედის დღე, 8 მარტი, სიმბოლურად ყვავილები გადასცეს და კიდევ ერთხელ აგრძნობინეს, რომ ისინი დღესაც ახსოვთ, უყვართ.

მუსიკალური ჰანგებით შეეცადნენ მეოთხეკლასელები ჭარმაგი მასპინძლების გამხიარულებას, ააცეკვეს კიდეც ერთ-ერთი ქალბატონი და მუსიკის პედაგოგ ლელა გოლიაძესთან ერთად ხალასი გრძნობებით დამუხტულნი დატოვეს გარშემო მყოფნი.

ზეპირად წაიკითხეს სახელოვანი პოეტების ლექსები, მოსწავლეებმა: ლიკა შენგელიამ, გიორგი მაჩიტიძემ, სალომე ვაშაკიძემ, ლაშა გაჩეჩილაძემ, მარიამ კორძაძემ, ნიკოლოზ სანაიამ, თიკო ციცხვაიამ, ბექა ნიკოლეიშვილმა და ელენე ჯვარშეიშვილმა.

"ეს დღე დაუვიწყარი იქნება მათთვის. სწორედ ამ ასაკში იწერება ბავშვის ცხოვრების სუფთა დაფაზე და რაც უფრო მეტად დავტვირთავთ მას სულიერებასთან მჭიდრო კავშირში მყოფი თემებით, მით უფრო სასურველ, ქვეყნისთვის საკეთილდღეო შედეგს მივიღებთ". _ აღნიშნა ჩვენთან საუბრისას ქალბატონმა ნატალია ადეიშვილმა.

დაორთქლილი სარკმლების მიღმა მოხუცები დარჩნენ, ახლად ამოწვერილი იებივით სათნო მოხუცები. პატარები კვლავ შეხვედრის იმედით დაემშვიდობნენ მათ.

შორენა კაკაბაძე

მეორე მსოფლიო ომის 70-ე წლისთავისადმი

## სამშობლო და გამარჯვება

ამ დევიზით მიდიოდნენ ომში საქართველოდან, მიდიოდნენ და იბრძოდნენ...

9 მაისს კაცობრიობა მეორე მსოფლიო ომის ძლევამოსილად დამთავრების 70-ე საიუბილეო თარიღს აღნიშნავს. ამჯერად იმ ადამიანს გავიხსენებთ, ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე საოცარი რუდუნებით რომ ემსახურა მშობლიურ სოფელს, რაიონს, სამშობლოს, პირნათლად მოიხადა სააქაო ვალი.

ბატონი ალექსანდრე (შურა) ქუთათელაძე იმ 700 000 ქართველთა შორის იყო, სამშობლოს პირველ დაძახილზე იარაღი რომ აიღეს ხელში და მტერზე გამარჯვებული დაბრუნდა შინ. ათეული წლების განმავლობაში გახლდათ საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი, საქვეყნოდ ცნობილი დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის დირექტორის მოადგილე. იგი ამ სასწავლებლის ლეგენდარულ დირექტორთან, ბატონ პოლიკო მიქაძესთან ერთად დღითიდღე ამრავლებდა იმ წარმატებებს, დღეს ამ სასწავლო კერის სახელოვანი ისტორიის ნაწილად რომ იქცა.

განუზომელი ავტორიტეტით სარგებლობდა ბატონი ალექსანდრე ქუთათელაძე საზოგადოებაში. ერთხანს გახლდათ საზოგადოება "ცოდნას" რაიონული ორგანიზაციის პასუხისმგებელი მდივანი, სიცოცხლის თითქმის ბოლო პერიოდამდე კი ომგადახდილი კაცი სათავეში ედგა ომის, შრომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანთა რაიონულ კავშირს და მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა ვეტერანების, მათი ოჯახების ყოფითი პირობების გაუმჯობესების საქმეში. ერთ საგაზეთო წერილში შეუძლებელია, ყოვლისმომცველად აღნუსხო დამაშვრალი კაცის დიდებით განვლილი საბრძოლო და შრომითი გზა. დამსახურებულ პედაგოგს, პრესტიჟული სამთავრობო ჯილდოების მფლობელს არასოდეს ჰკლებია აღზრდილთა, ნაცნობთა მხრიდან სითბო და სიყვარული, პატივი და დაფასება.

9 მაისის მოახლოებასთან ერთად ამ პატარა წერილით გვსურს მოვიგონოთ, სამშობლოს ერთგული ჯარისკაცი, მით უფრო, რომ ამ დღეებში იგი 100 წლის გახდებოდა.

ნათელში იყოს!

სურათზე: ბატონი ალექსანდრე ქუთათელაძე ომისა და შრომის ვეტერანთა შორის.

ლევან გაბიჩავა
რომან ბექაიას ფოტო.



## 145 წლის სამტრედია

# გამრჯე მარჯვენის დამფასებელი

***გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან საბჭოეთი კოლექტივიზაციამ მოიცვა. კოლმეურნეობა მალევე იქცა მუშა-გლეხისთვის სარჩოს გამოსამუშავებელ წყაროდ. ისინი სოკოებივით მომრავლდა რაიონში, ხოლო რაც შეეხება ქალაქის ტერიტორიას, იგი მხოლოდ ორი კოლმეურნეობით შემოიფარგლა.***

***კარგ საქმეს შესაფერისი ხელმძღვანელი სჭირდებოდა. ადამიანი, ვინც მწყობრში მოიყვანდა მუშაობის განრიგს, გააფართოვებდა სამუშაო არეალს, ხელს შეუწყობდა კოლმეურნეებსა და მათ ოჯახებს. სწორედ ამ თვისებებით შემკული ახსოვთ უფროსი თაობის სამტრედიელებს თამარ მიხეილის ასული თავაძე.***

***ჩვენი გაზეთის აქტიური მკითხველი მარტივად შეამჩნევდა, რომ ბოლო რამდენიმე ნომერში "სამტრედიის მაცნე" ახალი რუბრიკით "145 წლის სამტრედია", რაიონში სახელმოხვეჭილი ხელმძღვანელ-მუშაკებისა და ფართო საზოგადოებისთვის ცნობილი თანაქალაქელების იმ მოგონებათა შესახებ წერს, რაც მათ მშობლიურ სამტრედიასთან აკავშირებთ.***

***უპრიანია, ზემოთხსენებულ რუბრიკაში, მუხლჩაუდგმელად მშრომელ, რაიონზე უზომოდ შეყვარებულ ქალბატონზე ვისაუბროთ, რომელმაც თავისი ცხოვრების თითქმის ნახევარსაუკუნოვანი მონაკვეთი საყვარელ საქმეს შეალია და მისი სახელი სამტრედე ქალაქის ისტორიის ნაწილად აქცია.***

1915 წელს დაიბადა ქალბატონი თამარ თავაძე. ჩოხატაურში არასრული საშუალო განათლების მიღების შემდეგ, ის საცხოვრებლად სამტრედიაში გადმოვიდა, სადაც მუშაობის პარალელურად წარმატებით დაამთავრა რკინიგზის საშუალო სკოლა.

1942 წელს იგი კოლმეურნეობა "განთიადის" თავმჯდომარედ ინიშნება. 12 წლიანი ნაყოფიერი მუშაობის შემდეგ თამარ თავაძეს აწინაურებენ სამტრედიის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე, მოგვიანებით კი მთავრობის დავალებით ვასილ კიკვიძის სახელობის კოლმეურნეობაში გადაჰყავთ.

თავმჯდომარის პოზიციაზე მან რამდენიმე ათეული წელი დაჰყო და სიცოცხლის ბოლომდე ემსახურა კოლმეურნეობის ყოველმხრივ დახვეწასა და აღმავლობას.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ქალბატონი თამარის თავმჯდომარეობისას მისი კოლმეურნეობა ერთ-ერთი პირველი იყო, სადაც დაინერგა, წარმატებით განხორციელდა სოფლის მეურნეობის მექანიზებული მეთოდი, რამაც ხელით შრომის პრაქტიკა მანქანურით ჩაანაცვლა. "თამარას კოლმეურნეობის" სახელი რაიონის საზღვრებს გასცდა და მრავალთა ყურადღება მიიპყრო.

ჩვეულებრივი მოვლენა იყო, დილაადრიან ცხენზე თავდაჯერებულად შემჯდარი თავმჯდომარის ხილვა, რომელიც სამუშაოდ იხმობდა გლეხებს და სი-



ამაყის გრძნობით აკვირდებოდა მუშა პროცესის მიმდინარეობას.

დრო გადიოდა, სამოქალაქო ომის გმირის სახელობის კოლმეურნეობაში მიწური ქოხები, ხის ოდა სახლებით, შემდეგ კი ქვითკირის საცხოვრებლებით შეიცვალა. თავმჯდომარემაც ცხენიდან მანქანაში გადაინაცვლა.

გარდამავალი დროშის ზედიზედ რამდენჯერმე დასაკუთრება უცხო არ იყო კიკვიძის კოლმეურნეობაში დასაქმებულთათვის. ყოველწლიური ჯილდოებით განებივრებული მოსახლეობის მატერიალური შესაძლებლობები გაჯანსაღდა, მეურნეთა ცხოვრების დონე სწორედ თამარ თავაძის დაუღალავი შრომის შედეგად ამაღლდა.

წარმატებული ქალბატონის, საქართველოს უმაღლესი საბჭოს მეექვსე, მეშვიდე მოწვევების დეპუტატის ბიოგრაფიას კიდევ უფრო ამდიდრებდა ის ფაქტი, რომ პარტიის სამტრედიის რაიკომის წევრი, იმჟამად ძალზე მნიშვნელოვანი, საპატიო ორდენების კავალერი, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელების მფლობელიც გახლდათ. თამარ თავაძე დამსახურებულად მოიხსენებოდა საქართველოში ცნობილი კოლმეურნეობების თავმჯდომარეების: გივი წითლიძის, მიხაკო ორაგველიძის, არსენ კობაიძის... სახელთა გვერდით.

დღესდღეობით ფერმერული მეურნეობის განვითარებაზე კვლავ მიდის საუბარი, ხდება სხვადასხვა სახის სათესლე ჯიშების სანერგე მასალის შერჩევა, და ეს ყველაფერი მაშინ, როცა ჩვენ რაიონს ამგვარი წარმოების უდიდესი პრაქტიკა და გამოცდილება აქვს.

ღვაწლმოსილი ქალბატონის შემართულ ხასიათსა და პროფესიონალიზმზე შესანიშნავად მეტყველებს მისივე სიტყვები, რომლითაც იგი გაზეთ "წინსვლის" ერთ-ერთ ნომერში მეტი ერთსულოვნების,



მიღწევებისკენ მოუწოდებს "კიკვიძელებს": "თუ გასული წლის გეგმა-ვალდებულება 700 ტონა ბოსტნეულის წარმოებას ითვალისწინებდა, წელს 1052 ტონის გამომუშავება ვივალდებულეთ. ჩვენ კარგად ვიცით, რომ ვალდებულებას კანონის ძალა აქვს, ამიტომ მისი შესრულება ისევე აუცილებელია, როგორც ძირითადი გეგმის".

სტატიაში წარმოდგენილ პირველ ფოტოზე ნათლადაა აღბეჭდილი ქალბატონი თამარ თავაძე, რომელიც ჩვეული ენერგიულობით მიუთითებს მექანიზატორ აკაკი ჭანტურიას ახალ სამუშაო ობიექტზე. რაც შეეხება მეორე ფოტოს იგი ქალბატონი თალიკო მიქაძის უმდიდრესი არქივის საკუთრებაა. მასზე გამოსახულნი არიან: მარცხნიდან თამარ თავაძე, თალიკო მიქაძე, ნოდარ კოხრეიძე და შეხვედრის სხვა მონაწილეები.

საგულისხმო ფაქტია, რომ ჩვენი რაიონის მკვიდრმა, პოეტმა გრიგოლ ჯულუხიძემ პოემაც კი უძღვნა დამაშვრალ ქალბატონს. ნაშრომს დიდი გამოხმაურება და პრემია "ხუთწლედის მატიანე" ხვდა წილად.

ქალბატონ თამარზე საუბრისას აუცილებლად უნდა ვახსენოთ მისი მეუღლე, ბატონი ვაჟა ყაჭეიშვილი. დამსახურებული ინჟინერი ერთხანს აგურ-კრამიტის ქარხნის ხელმძღვანელის პოსტს, მოგვიანებით კი სამტრედიის რაიონის ხორცკომბინატის დირექტორის თანამდებობას იკავებდა. საქმისადმი მაღალი პასუხისმგებლობით მინდობილი მუშაკი, დღემდე ახსოვთ ავტორიტეტულ, გულისხმიერ კაცად.

მათი ვაჟი, ბატონი თეიმურაზ ყაჭეიშვილი 1997-2001 წლებში რაიონის გამგებელი გახლდათ.

დრო გადის, ახლოვდება ქალაქის საიუბილეო დღეები. სამტრედია არ ივიწყებს მქლავმოუღლელ თამარ თავაძეს, ქალბატონს, რომელსაც წლეულს 100 წელი შეუსრულდებოდა.

**შოთა კაკაბა**

# საგუნდო კოლექტივების ეროვნული კონკურსის სამტრედიელი მონაწილენი

**ნათია ნაცვლიშვილი**

ტარდება საქართველოს ბავშვთა ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების პირველი ეროვნული კონკურსი, რომლის ორგანიზატორები არიან საქართველოს საგუნდო საზოგადოება, ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი და ევგენი მიქელაძის სახელობის თბილისის ცენტრალური სამუსიკო სასწავლებელი.



კონკურსის პირველი რეგიონული ტური (15-20) მარტს გაიმართა. 28-30 მარტს კი მეორე ტური გაიმართება. 30 მარტსვე მოხდება გალა კონცერტზე საზეიმო დაჯილდოვება კონსერვატორიის მცირე დარბაზში.

ამ მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანი პროექტის მხარდამჭერები არიან საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, თბილისის მერია, ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრი, საქართველოს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, კონკურსი ტარდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხელშეწყობით.

კონკურსის შესარჩევ ტურში მონაწილეობის მისღებად შეიკრიბნენ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში მუნიციპალიტეტის სხვადასხვა მუსიკალური ჯგუფები. კონკურსი პარალელურად მიმდინარეობდა საქართველოს 5 რეგიონში, ამდენად საკონკურსო კომისიამ სამტრედიაში ჩამოსვლა ვერ შეძლო, თუმცა ფოლკლორის ცენტრის ხელმძღვანელმა გიორგი დონაძემ სრული ნდობა გამოუცხადა ქეთევან ბანცაძეს, მუსიკის მცოდნეს, ფოლკლორისტს, ქუთაისის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის ლოტბარს, ეთერ ფილიპიშვილს, ქუთაისის მ. ბალანჩივაძის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სასწავლებლის საგუნდო-სადირიჟორო განყოფილების გამგეს და ნათია გოგუაძეს, საქართველოს საგუნდო საზოგადოების იმერეთის რეგიონის წარმომადგენელს, ქუთაისის მ. ბალანჩივაძის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სასწავლებლის საგუნდო სადირიჟორო განყოფილების პედაგოგს. ამ მეტად საპატიო ჟიურის წინაშე თავიანთი შემოქმედება წარმოაჩინეს მუნიციპალიტეტის მოსწავლე- ახალგაზრდობის სახლთან არსებულმა ფოლკლორულმა ანსამბლებმა "ალილო" და "დილილმე" (ხელმძღვანელი მადონა კოხრეიძე), № 11 საჯარო სკოლის ბავშვთა გუნდმა (ხელმძღვანელი ელისო რობაქიძე) და ტოლების მუსიკალური სკოლის გუნდმა (ხელმძღვანელი ნათია კეშელავა).



მადონა კოხრეიძე, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლთან არსებული ფოლკლორული განყოფილების გამგე: – ჩვენი მუნიციპალიტეტის ამ გუნდებმა მხოლოდ ფოლკლორული ნიმუშები წარმოადგინეს, კონკურსი ითვალისწინებს სამ კატეგორიას: აკადემიურს, ფოლკლორულს და საგალობლებს. ეს არის პირველი ნაბიჯი. აღფრთოვანებული ვარ, რომ ყინული კი არა, აისბერგი დაიძრა, 30 წელზე მეტია, რაც საგუნდო ხელოვნება მიივიწყეს. მოგეხსენებათ, საგუნდო მუსიკა ეროვნული კულტურის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და მრავალფეროვანი სფეროა, რახან ეს პირველი ნაბიჯი გადაიდგა, ალბათ, წინსვლა იქნება. ჩვენმა გოგონათა ანსამბლმა იმღერა რაჭული "ნაი ნაი" და "დილილმე". ესაა სახუმარო სიმღერა – რძლისა და დედამთილის გასაუბრება. "ალილომ" კი იმღერა "სისა-ტურა" და აღმოსავლური "ოქრომჭედელი". მე-11 საჯარო სკოლელებმა ერთ-ერთ სიმღერად წარმოადგინეს იმერული საოხუნჯო. ტოლების სკოლის გუნდმა იმერული მგზავრული და "კარკუჩით ჩამოიყვანეს".



25 მარტს გაირკვევა, გადავიდნენ თუ არ ჩვენი მუნიციპალიტეტის ანსამბლები მეორე ტურში. მადონა კოხრეიძე მიიჩნევს, რომ თუნდაც ერთმა მათგანმა მოიპოვოს კონსერვატორიის დარბაზში სიმღერის პატივი. ეს ჩვენთვის უდიდესი მიღწევა და წარმატება იქნება. საგუნდო სიმღერა მოსწავლეს უყალიბებს სცენაზე დგომის, ქვეყნის სიყვარულის კულტურას. წინათ სკოლებში ოლიმპიადები ტარდებოდა, თუ გქონდა სმენა და ხმა, გინდოდა თუ არა, უნდა დამდგარიყავი და გემღერა. ელემენტარული ურთიერთობა, მიმართვის კულტურა არსებობდა, ახალგაზრდას ხელოვნებისადმი სიყვარული უყალიბდებოდა, რაც დღეს საერთოდ წაშლილია და გამქრალი. გემოვნებიანი პიროვნება არა ხარ, თუ ქართულ ხელოვნებას და კულტურას არ იცნობ. – გვეუბნება ქალბატონი მადონა.



მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორი, ტატა გოგუაძე: "ჩვენმა შემოქმედებითმა კოლექტივებმა კომპეტენტური ჟიურის წინაშე წარმოადგინეს თავიანთი სიმღერები, ჟიურის წევრებმა გამოხატეს მოწონება და ეს ჩვენთვის ძალიან სასიხარულოა. მგონი, მეორე ტურშიც გადავალთ, ვნახოთ, მინდა ამ კონკურსის ყველა მონაწილეს დიდი წარმატება ვუსურვო. მადლობა პედაგოგებს და მათ მშობლებს.

# შეხვედრა მასპინძელთა გამარჯვებით დასრულდა

18 მარტს, 15 საათზე,ეროსი მანჯგალაძის სახელობის სტადიონზე საქართველოს ჩემპიონატის ეგიდით სამტრედიაში "იმერული დერბი" გაიმართა. ერთმანეთს "სამტრედია" და "ზესტაფონი" დაუპირისპირდნენ. ჩვენმა გუნდმა შემდეგი შემადგენლობით იასპარეზა: თევდორაძე, ბეჭვაია, ხიზანიშვილი, კაკუბავა, კვირკველია, დათუნაიშვილი, გურული (ბოლქვაძე), დოლიძე, გეწაძე (თევზაძე), იაშვილი (გორგიაშვილი), კაპანაძე. მთავარი მწვრთნელი ზაზა ზამთარაძე. პირველი ხიფათი ზესტაფონის კართან მე-9 წუთზე შეიქმნა. პირველი გოლი კი შეხვედრის მე-18 წუთზე გავიდა, როცა სანდრო გურულისა და გრიგოლ დოლიძის კომბინაციას საჯარიმოში ჩაწოდება მოჰყვა, კაპანაძემ იყოჩაღა და ანგარიში გახსნა 1: 0. მე-60 წუთზე მასპინძლებმა ანგარიში გააორეს. საბოლოო ანგარიში კი მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროზე დათო კვირკველიამ დააფიქსირა 3 : 0. აღსანიშნავია ისიც, რომ მატჩის მიმდინარეობისას ფან-კლუბი აქტიურად გულშემატკივრობდა გუნდს.

შეხვედრა "სამტრედიის" სრული უპირატესობით წარიმართა და მასპინძელთა გამარჯვებით დასრულდა. გილოცავთ და კვლავაც წარმატებებით გევლოთ ბიჭებო!

ზიკო ჯინჭარაძე





# ივერი ჯულაყიძისა და დემურ მეგენეიშვილის ღირსეული გამარჯვება

2015 წლის 19-21 თებერვალს ქალაქ თბილისში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში 1998-1999 წლებში დაბადებულ ჭაბუკ მოჭიდავეთა შორის, სადაც ჩვენი მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბ "ფალავანის" (დირექტორი ირაკლი მელაშვილი) მოჭიდავეები ივერი ჯულაყიძე (69 კგ.) და დემურ მეგენეიშვილი (76 კგ) ასპარეზობდნენ. აღნიშნულ ჩემპიონატში ივერი ჯულაყიძემ და დემურ მეგენეიშვილმა პირველი საპრიზო ადგილები მოიპოვეს. აღსანიშნავია, რომ ჩემპიონატში ასპარეზობისას ზემოთ ხსენებულ მოჭიდავეებს ერთი ქულაც კი არ დაუკარგავთ ყველა შეხვედრა აშკარა უპირატესობით მოიგეს. ი. ჯულაყიძე და დ. მეგენეიშვილი 2015 წლის 4-9 ივნისს სერბეთში ევროპის ჩემპიონატში და 25-30 აგვისტოს ბოსნია ჰერცოგოვინაში მსოფლიო პირველობაზე იასპარეზებენ.

ვულოცავთ ბიჭებს და მათ მწვრთნელებს, ვეფხია და ლაშა სტურუებს მოსწავლეთა ასეთ წარმატებას და ვუსურვებთ კიდევ ბევრი სპორტული მწვერვალის დალაშქვრას.

ნათია ნაცვლიშვილი



# გადაღებულია...

გამოჩნდებოდა თუ არა სკოლაში, უმალ ბავშვების გარემოცვაში აღმოჩნდებოდა. მერე ოსტატურად მოიმარჯვებდა ფოტოაპარატს და...

ასე იქცა ისტორიად ჩემი თაობისათვის კულაშის მკურნალის სახელობის საშუალო სკოლაში ბატონი სერგო ტკვაცირიას მიერ გადაღებული ფოტოები, მოსწავლეობის ტკბილ, განუმეორებელ პერიოდსა და ჩვენზე მზრუნველ, თავდავიწყებით შეყვარებულ პედაგოგებს რომ გვახსენებენ.



რაკიღა სკოლაში ერთმანეთის მხარდამხარ მეგობრულად ვსწავლობდით ქართველები და ებრაელები, ფოტოები, რომელთა ავტორიც ბატონი სერგო ტკვაცირიაა, შორეულ, თუმცა ჩვენთვის ესოდენ ახლობელ ისრაელშიცაა გატანილი მათზე გამოსახული ჩვენი ებრაელი მეგობრების მიერ.

წლების მანძილზე საოცარი რუდუნებით შექმნილ რედაქციის ფოტოარქივში, ბატონ რომან ბექაიას მიერ გადაღებული ფოტო აღმოჩნდა, რომელზედაც ბატონი სერგო ტკვაცირიაა გამოსახული, დიდი ხანია იგი ამ ქვეყნად აღარაა. მოგონებები აიშალნენ და ციცქნა წერილიც დაიწერა.

ლევან გაბეჩავა

# სკოლიოზი

სკოლიოზი ხერხემლის სვეტის გამრუდება, საკმაოდ გავრცელებული დაავადებაა. ის დედამიწის მოსახლეობის 40-50%-ს აწუხებს. ბოლო ხანს ჩვენს ქვეყანაში ეს დაავადება გახშირდა. რაც უმთავრესად ბავშვთა არასისტემატური პროფილაქტიკური შემოწმების, მოსახლეობის არასაკმარისი ინფორმირებულობის, სამკურნალო ფიზკულტურის ნაკლები პოპულარიზაციისა და ნაკლები ხელმისაწვდომობის ბრალია. ამ პრობლემების მოგვარება ძალზე მნიშვნელოვანია ჯანსაღი მომავალი თაობის აღზდისთვის.

სკოლიოზის გამომწვევი მიზეზებია:

კუნთოვან-იოგოვანი უკმარისობა _ ბავშვის სწრაფი ზრდისას კუნთოვანი კარკასი ვერ ეწევა ძვლებს, რაც ხერხემლის კუნთებისა და იოგოვანი აპარატის დასუსტებას განაპირობებს;

ენდოკრინული ჯირკვლების დისფუნქცია _ სქესობრივი მომწიფების ასაკში, როდესაც ორგანიზმში ხდება ჰორმონული ძვრები, მცირდება ძვლების სიმკვრივე, რაც არასწორი ფიზიკური დატვირთვის დროს ხერხემლის გამრუდებით სრულდება;

დისპლაზიური ფაქტორი _ დისპლაზიური პროცესები ასუსტებს ძვლოვან ქსოვილს;

ნეიროგენული ფაქტორი _ ნეიროგენული თეორია სკოლიოზის განვითარებას ნერვული სისტემის პათოლოგიებს უკავშირებს;

სტატიკურ სკოლიოზს განაპირობებს ზურგისა და მუცლის კუნთების სისტემატური ცალმხრივი სტატიკური დატვირთვა. ასეთია, მაგალითად, პროფესიული და ფუნქციური სკოლიოზები, მათ შორის _ სასკოლო სკოლიოზიც. დიდია მათ განვითარებაში კომპიუტერის როლი;

პათოლოგიის ჩამოყალიბებაში დიდ როლს ასრულებს ბრტყელი ტერფი და ტერფის მაღალი თაღიც;

არსებობს თანდაყოლილი სკოლიოზებიც, რომლებიც მუცლადყოფნის პერიოდში სხვადასხვა დარღვევითა და მემკვიდრეობითი ფაქტორებით არის განპირობებული.

სკოლიოზის განვითარებას ასევე ხელს უწყობს რაქიტი, ხერხემლის თანდაყოლილი ანომალიები, ტუბერკულოზი, პოლიომიელიტი, ხერხემლის ტრავმები.

# ბედის წინაშე

თქვენ მომხიბვლელი შთაბეჭდილებით
აპირებთ დარდად ჩემში დარჩენას,
გულის ხალისად გადაბირებით
სულზე აკეთებთ ისევ არჩევანს.
თითქოს მარტო ხართ, ბედის წინაშე
და აღარავის აღარ ახსოვხართ,
გულს შემოდგომის დარდით ინაზევთ
და გაზაფხულის სურნელით ოხრავთ.
და, რა თქმა უნდა, გქონდათ უფლება,
ყოფილიყავით ზედმეტად ფრთხილი
ბედის წინაშე, ცოტა უკმეხად,
მაგრამ უთუოდ მძლედ თავდახრილი.

დავით ჩირგაძე

# დემურ გრიგოლია



მხატვართა საზოგადოებას ცნობილი მხატვარ-ფერმწერი, დემურ გრიგოლია გამოაკლდა. ამით ქართულმა სახვითმა ხელოვნებამ დიდი დანაკლისი განიცადა.

დემურ გრიგოლია 1942 წელს დაიბადა სამტრედიაში. 1969 წელს სანქტ-პეტერბურგის ი. რეპინის სახელობის სამხატვრო ინსტიტუტის ფერწერის ფაკულტეტი დაამთავრა. 1973 წლიდან საქართველოს მხატვართა კავშირის წევრია.

1972 წლიდან აქტიურად მონაწილეობდა რესპუბლიკურ, საკავშირო და საზღვარგარეთ გამართულ სამხატვრო გამოფენებში. აღსანიშნავია მისი ფერწერული ტილოები: "თიბათვე", "მშვილდოსანი", "ნატურმორტი", "1941 წელი". დიდი ადგილი მხატვრის შემოქმედებაში პორტრეტულ ჟანრს ეკუთვნოდა: "მხატვარ ლ. ჯანაშიას პორტრეტი", "მარიეტა", "ქალიშვილის პორტრეტი" და სხვა მრავალი. მისი ნამუშევრები დაცულია, როგორც საქართველოს, ისე საზღვარგარეთის მუზეუმებსა და კერძო კოლექციებში. სამტრედიის მუნიციპალიტეტის გალერეაში მისი ერთი ტილო "თიბათვე" ინახება.

ბატონი დემურ გრიგოლია შემოქმედებით მუშაობასთან ერთად პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწეოდა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში. მისი სახელი და გვარი ოქროს ასოებით ჩაიწერება სამხატვრო აკადემიის ისტორიაში. ნიჭიერი, განათლებული, კეთილშობილი პიროვნება და თავდადებული მეგობარი _ ასე ახასიათებენ მას კოლეგები.

ბატონი დემურ გრიგოლიას სახელი წარუშლელი დარჩება მისი ოჯახის, ახლობლების, მეგობრებისა და კოლეგების ხსოვნაში.



გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა

**სოსო თოდუა**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.



# კაკა ფოცხვერიას მონატრება

21 მარტი შენი დაბადების დღეა, ჩვენო კახუნა, 50 წელი შეგისრულდებოდა. ეს დღე ჩვენს ოჯახში ბედნიერი დღე იყო, მაგრამ უკვე 5 წელია, შენს დაბადების დღეს სასაფლაოზე მოვდივართ შენი საყვარელი ადამიანები და ცივ ქვას ვეფერებით. გაუსაძლისია ჩვენი ტკივილი. ძალიან გვტკივა უშენობა, მაგრამ ისღა დაგვრჩენია, ვილოცოთ შენი სულისათვის, რომ ნათელი და სანთელი არ მოგაკლდეს.

შენი ოჯახი

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია თანაუგრძნობს ნინო შარაშენიძეს

**მამის**

გარდაცვალების გამო.

---

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია თანაუგრძნობს ლადო ნიკოლეიშვილს

**ბიძის**

გარდაცვალების გამო.

## რა მინუსები აქვს ბრინჯის დიეტას

როგორც ყველა სხვა უმარილო დიეტას, ბრინჯის დიეტას აქვს დიდი მინუსი _ ორგანიზმიდან მარილთან ერთად გამოაქვს წყალი. წონაში დაკლების მსურველებმა არ იციან, რომ წონის კლება მიმდინარეობს თავიდან ძირითადად წყლის კარგვის ხარჯზე, ხოლო ცხიმი დაშლას იწყებს არაუადრეს 10 დღისა. და ისიც უნდა ითქვას, არც ისე დიდი რაოდენობით იშლება. როგორც კი რაციონში ისევ გამოჩნდება მარილი, წყალი მალევე აღიდგენს თავის უფლებებს ორგანიზმში. დიეტის შედეგებიც მალევე გაფერმკრთალდება. უამრილო დიეტა კარგია, მხოლოდ ხანმოკლე პერიოდისათვის. მაგალითად, რაიმე ღირსშესანიშნავი თარიღისათვის ფორმაში ჩასადგომად.



_ ბრინჯს გამოაქვს ყველა მარილი, მათ შორის კალიუმი, რომელზეც დამოკიდებულია ჩვენი გულის გამართული მუშაობა, ამიტომაც აუცილებელია მისი მიღება კალიუმის შემცველი პრეპარატების სახით.

_ დიდი რაოდენობით ბრინჯის მიღებას შეუძლია შეგვიქმნას კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მუშაობასთან დაკავშირებული პრობლემები, კერძოდ, გამოიწვიოს ყაბზობა. ასეთ შემთხვევაში უმჯობესია, პრობლემა ოყნის მეშვეობით მოიგვაროთ.

_ სამდღიანი "მკაცრი" დიეტის შემთხვევაში, კარგად დაფიქრდით, რით უნდა გააგრძელოთ კვება. დიეტის გახანგრძლივების შემთხვევაში ხდება ნევროტულობის ჩამოყალიბება, ხშირია ბრინჯის "შეჯავრება", მეორეს მხრივ, მრავალფეროვანი და გემრიელი საკვების მიღებისას უმოკლეს დროში ხდება ძველი წონის აღდგენა.




## იისფერ შუქზე ბავშვები უფრო გონიერები ხდებიან

გერმანიის რამდენიმე სკოლაში მეცნიერებმა ექსპერიმენტი ჩაატარეს: საკლასო ოთახები ცისფერი შუქით გაანათეს, ბავშვებს წიგნის წაკითხვა, შემდეგ კი წაკითხულის მოყოლა სთხოვეს.

აღმოჩნდა, რომ ცისფერმა შუქმა პატარების ტვინის მუშაობის პროცესზე იმდენად დადებითი გავლენა იქონია და იგი ისე გააქტიურა, რომ კითხვის სისწრაფე 30%-ით გაიზარდა, წაკითხულის დამახსოვრების შესაძლებლობა კი 50%-ით გაუმჯობესდა.



## ვულოცავთ!

**გივი ლალანიძეს!**

60 წლის გადმოსახედიდან პატივისცემითა და სიყვარულით ულოცავს დაბადების დღეს "სამტრედიის მაცნე" კაცს, რომლისგანაც არაერთხელ უგრძვნია ამ გაზეთს მისი, როგორც ჩინოვნიკის, მკითხველის, მეგობრის, გულშემატკივრის თანადგომა. ბედნიერებას ვუსურვებთ მის ოჯახს, შვილებს, შალვასა და გიორგის, მამასავით მარტში რომ დაიბადნენ. გაზაფხულის აფეთქება სწორედ მარტია და მარტივით აფეთქებული სიყვარული დაგებედოთ ცხოვრების გზაზე. ღირსეულად გაეტარებინოთ ქართველკაცობის უღელი. გამრავლდით და გაიხარეთ!

**"სამტრედიის მაცნე"**

**ჩვენო თეა!**

დიდი სიყვარულით გილოცავთ დაბადების დღეს, მარტის სურნელით და ქალური ხიბლით შემოსულიყოს შენს ცხოვრებაში კიდევ მრავალი გაზაფხული! იხარე და იბედნიერე შენს ლამაზ ოჯახთან ერთად, ზღვა ენერგია არ დაგშრეტოდეს, მართალი კალამი არ დაგჟანგებოდეს!

ღმერთმა დაგლოცოს და გაგაძლიეროს!

**"სამტრედიის მაცნე"**

**ხათუნა ჩხიკვაძეს!**

ხათუნა მასწავლებელო, გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ბედნიერებას და სიხარულს თქვენს ოჯახთან, მეგობრებთან, კოლეგებთან ერთად. მოსწავლეების პატივისცემით მუდამ მდიდარი ყოფილიყავით. ძალიან, ძალიან გვიყვარხართ და გვეიმედებით. ჩვენგან ყველა გაბრაზება და ანცობა თქვენდამი სიყვარულად მიითვალეთ.

**მე-11 საჯარო სკოლის მეათეკლასელები**

**ირა ზელინსკაიას და ციცინო ნიჩუას**

ძალიან ლამაზ და საყვარელ დედა-შვილს გილოცავთ დაბადების დღეს. მარტში დაბადებულებს სიხარულად და ბედნიერებად დაგბედებოდეთ მისი ჭირვეულობა. მეგობრების სიყვარული არასდროს გაკლდათ და არც მოგაკლდებათ, უფალმა დაიფაროს თქვენი დიდი, კეთილი ოჯახი. დიდხანს ყოფილიყოს თქვენი ფუძე ჩვენი მყუდრო ნავსაყუდელი.

**მეგობრები**

**ნატაშა ნოვიკოვასა და ჯონი მიქაძეს!**

დაბადების დღეს გილოცავთ. მყუდროება და ურთიერთსიყვარული, შვილთა ბედნიერება და სიმრავლე დაბედებოდეს თქვენს დიდ ოჯახს. ერთმანეთისთვის შემონახული სიყვარული ღრმა მოხუცებულობამდე არ "გაგთავებოდეთ". ჩვენ თქვენი და თქვენ ჩვენი იმედი არ გაგვცუდებოდეს, გულწრფელობა არ მოჰკლებოდეს იმ ურთიერთობას, მეგობრობა რომ ჰქვია. უფალმა დაგიფაროთ თავისი კალთის ქვეშ.

**მეგობრები**

**დარეჯან ახობაძეს!**



"მარტის თვეა შენი", თუმცა, მარტივით ჭირვეული არასოდეს ყოფილხარ, პირიქით, მოზომილი, დაბალანსებული, თბილი და მზრუნველი ყველასთვის. ზოგადად, ადამიანების მოყვარული და განსაკუთრებულად _ განსაცდელში მყოფთათვის. გვიყვარხარ, გვეამაყები და გვეიმედები, გაზაფხულივით მშვენიერო, დიდი კეთილი გულის ქალბატონო. ყოველი რვა მარტის შემობრძანებას შენთვის და შენი ორი შვილის, თამაზისა და მამუკასთვის მხოლოდ ულევი სიხარული, სიყვარული და ბედნიერება მოეტანოს.

**მეგობრები**

სააქციო საზოგადოება ენერგო-პრო ჯორჯიას სამტრედიის მომსახურების ცენტრის თანამშრომლები დაბადების დღეს ულოცავენ ამავე მომსახურების ცენტრის ბილინგის მენეჯერს, **ზაზა ზამბახიძეს**.

## რატომ ეჩვენება ნასვამ მამაკაცს ყველა ქალი ლამაზი

ლონდონის როიჰემპტონის უნივერსიტეტის სწავლულებმა მიზნად დაისახეს გამოეკვლიათ, რატომ ეჩვენება ნასვამ მამაკაცს ყველა ქალი ლამაზი.

დასკვნაში ბრიტანელმა მეცნიერებმა მიუთითეს, რომ მთვრალი მამაკაცები სახეებს გაცილებით სიმეტრიულად ხედავენ. ფხიზელ თვალს არ გამოეპარება სახის მცირე ასიმეტრიაც კი, ნასვამები კი ვერ ამჩნევენ სერიოზულ ასიმეტრიულ დეფექტსაც კი. სწორედ ამიტომ არის, რომ ნასვამ მამაკაცს ნაკლებსიმპათიური ქალებიც კი მიმზიდველად ეჩვენება.



მეცნიერთათვის დასკვნა საკამათო აღმოჩნდა. საქმე ის არის, რომ მოწინააღმდეგეთა აზრით, სახე ძალიან რთულად აღსაქმელი ობიექტია, უამრავი პარამეტრებით, რითაც მისი სილამაზისა თუ სიმახინჯის შეფასება ხდება.

ამიტომ ის, რომ ნასვამები მხოლოდ ასიმეტრიას ვერ ამჩნევენ, საკმაოდ გაზვიადებულია. ადამიანები ასეთ მდგომარეობაში, უბრალოდ, არა მარტო სახეებს, ყველაფერს ბუნდოვნად ხედავენ.

ერთი რამ ცხადია, მეცნიერები სრულიად ადასტურებენ ძველ გამოთქმას: "არ არსებობს ულამაზო ქალი, უბრალოდ, სასმელია ცოტა"...

იყიდება ოროთახიანი ბინა მიშენების პერსპექტივით გამარჯვების ქუჩაზე. ფასი შეთანხმებით. ტელეფონი: 555 54 32 95. 557 96 83 98.

რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 790 391839

სამტრედიის მაცნე

დირექტორი ბექან გოგია
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა
კომპიუტერული უზრუნველყოფა მაკა პაპავა